პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი
№ 106 (10192)

პარასკევი, 6 მაისი, 1955 წ.

ფასი 20 კაპ.

## დღეს ნომერში:

ვ. ი. ლენინის სტატია ბეჭდვითი სიტყვის შესახებ (1-ლი გვერდი).

**პარტიული ცხოვრება.** — ავამაღლოთ კადრების ეკონომიური განათლების დონე (მე-2 გვერდი).

**პროპაგანდისტთა და აგიტატორთა დასახმარებლად.** — არტილერიის მარშალი ს. ვარენცოვი. — დიადი გამარჯვება (მე-2 და მე-3 გვერდი).

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში.** — საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სამონადირო მეურნეობის მოწყობის ღონისძიებათა შესახებ (მე-2 გვერდი).

**პრესის მიმოხილვა.** — პარტიული ცხოვრების საკითხები საქალაქო გაზეთში (მე-3 გვერდი).

**გ. ხეჩუაშვილი.** — როცა მეცხოველეობას ზერელედ ხელმძღვანელობენ (მე-3 გვერდი).

უნგრეთის მინისტრთა საბჭოს წერილი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

# წარმატებით მოვემზადოთ გამოცდებისათვის სკოლებში

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში დასასრულს უახლოვდება სასწავლო წლის უკანასკნელი მეოთხედი. ახლოვდება გამოცდები, რაც შესაძლებლობას მოგვცემს საფუძვლიანად შევამოწმოთ მოსწავლეთა ცოდნა, განვაზოგადოთ მოწინავე სკოლების მუშაობის გამოცდილება, გამოვავლინოთ და აღმოვფხვრათ სკოლის მუშაობის ნაკლოვანებანი.

ჩვენი სკოლა წლითიწლობით აუმჯობესებს თავის მუშაობას, აძლევს მოსწავლეებს მეცნიერების საფუძვლების სულ უფრო მტკიცე ცოდნას.

სახალხო მასწავლებელი სკოლისათვის პარტიისა და მთავრობის ზრუნვას უპასუხებს ნაყოფიერი, თავდადებული შრომით, პედაგოგიური ოსტატობის ამაღლებით, მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის გაუმჯობესებით.

სახალხო განათლების საქმეში, მოპოვებული მიღწევების მიუხედავად, კვლავ სერიოზული ნაკლოვანებანია. გასულ სასწავლო წელს რესპუბლიკის მთელ რიგ სკოლებში მოსწავლეთა აკადემიური წარმატება მეტად დაბალი იყო, მოსწავლეთა ნაწილი კლასში დატოვებულ იქნა მეორე წელს. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხი ჯერ კიდევ ყველგან როდი შეესაბამება სკოლისათვის წაყენებულ გადიდებულ მოთხოვნებს.

სასწავლო წლის დასასრულამდე დარჩენილ პერიოდში ძირითადი ყურადღება უნდა მიექცეს გავლილი მასალის გამეორებას. სასწავლო პროცესის სწორი მოწყობა შესაძლებლობას მისცემს მასწავლებელს უფრო საფუძვლიანად განუმტკიცოს მოსწავლეებს სასწავლო წლის განმავლობაში მიღებული ცოდნა. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყველა მოსწავლემ ზედმიწევნით შეითვისოს მასალა მთელი სასწავლო პროგრამის მოცულობით. გამეორება ხელს შეუწყობს მასწავლებელს გამოავლინოს და შეავსოს ხარვეზები მოსწავლეთა ცოდნაში.

როგორც შემოწმებამ ცხადყო, რესპუბლიკის სკოლებში გაცხოველებით მიმდინარეობს გამოცდებისათვის მზადება, მასწავლებლები ყოველმხრივ ეხმარებიან მოსწავლეებს გამოცდებისათვის მზადებაში, გულდასმით ამეორებინებენ გავლილ მასალას, ინდივიდუალურ დავალებებს აძლევენ მათ იმის გათვალისწინებით, თუ საგნის რა ნაწილი ვერ შეითვისეს ან სუსტად შეითვისეს. გამოცდებისათვის მზადებაში თვითეულმა სკოლამ სწორად უნდა მოაწყოს მუშაობა აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებთან. უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის ზოგიერთ სკოლაში ასეთ მოსწავლეთა რიცხვი ჯერ კიდევ მნიშვნელოვანია, ხოლო მათ საკმაო დახმარებას არ უწევენ. ზოგიერთ მასწავლებელს ავიწყდება, რომ სწორედ მას ეკისრება პასუხისმგებლობა მოსწავლის აკადემიური წარმატებისათვის და რომ ეს ავალებს მას განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდოს სწავლაში ჩამორჩენილ მოსწავლეებს. მასწავლებლის უპირველესი ვალია ჩაუნერგოს თვითეულ მოსწავლეს ცოდნის წყურვილი, განუმტკიცოს საკუთარი ძალების რწმენა, განუვითაროს ნებისყოფა და გულმოდგინება ცოდნის დაუფლებაში.

გამოცდებისათვის წინასწარ მოსამზადებელ მუშაობას ცუდად არ შეუდგნენ ქ. თბილისის, აფხაზეთის ასსრ და წითელწყაროს რაიონის სკოლებში. ქ. სოხუმის პირველ საშუალო სკოლაში (დირექტორი ამხ. ა. ჯანჯღავა) გამოცდებისათვის მზადებისა და ჩატარების გეგმა გულდასმით და მოფიქრებულად შეადგინეს. გამოცდების ინსტრუქციით გათვალისწინებულ საკითხებს დროულად ამუშავებენ. გამოყოფილი არიან მორიგე მასწავლებლები, რომლებიც დახმარებას უწევენ მოსწავლეებს.

მაგრამ ასე როდი ითქმის ლაგოდეხის რაიონის ვარდისუბნის საშუალო სკოლაზე. სკოლაში მეტად დაბალ დონეზე დგას სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა. სწორედ ამის შედეგია, რომ 22 აპრილს მეათე კლასის ყველა მოსწავლემ გააცდინა მე-4, მე-5 და მე-6 გაკვეთილი. სკოლაში 29 აპრილისათვის კიდევ არ ჰქონდათ შედგენილი გამოცდებისათვის მზადების გეგმა. საერთოდ აღნიშნულ სკოლაში გამოცდებისათვის მზადება არ იგრძნობა. ლაგოდეხის რაიონის განათლების განყოფილების გამგემ ამხ. გ. წიქარიშვილმა სათანადო დასკვნები უნდა გააკეთოს ამ მდგომარეობიდან. საჭიროა ხსენებულ სკოლას სასწრაფო პრაქტიკული დახმარება გაეწიოს.

პოლიტექნიკური სწავლების შემოღებამ სკოლის წინაშე დასახა ახალი ამოცანა — მოსწავლეთა მომზადება დამოუკიდებელი შრომისათვის. სიმწიფის ატესტატს რომ იღებს, მოსწავლეს უნდა შეეძლოს დამოუკიდებელი შრომა. იმის შედეგად, რომ ზოგიერთ სკოლაში გასულ წელს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა დაბალ დონეზე იდგა, არ იყო მტკიცე კავშირი სკოლასა და წარმოებას შორის, ბევრ სკოლადამთავრებულს არ გამოუმჟღავნებია წარმოებაში ან კოლმეურნეობაში მუშაობის სურვილი. უნდა განვუმარტოთ მოსწავლეებს, რომ ჩვენს ქვეყანაში შრომა დიდებისა და გმირობის საქმეა, რომ არა არის რა იმაზე უფრო საპატიო, ვიდრე პატიოსანი შემოქმედებითი შრომა საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ.

მოზარდი თაობის სწავლება და აღზრდა ადგილობრივი პარტიული ორგანოების ღვიძლი საქმეა. ისინი მოვალენი არიან მიაღწიონ სკოლების პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესებას, დაეხმარონ მათ მასწავლებელთა პოლიტიკური განათლებისა და პედაგოგიური ოსტატობის ამაღლების საქმეში. თვითეულ სკოლაში უნდა შეიქმნას ისეთი ვითარება, რომელიც ყოველმხრივ შეუწყობს ხელს სასწავლო წლის წარმატებით დამთავრებას, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლას, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ნაკლოვანებების გადაჭრით აღმოფხვრას.

კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების ამოცანაა დაეხმარონ მასწავლებლებს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სწორად მოწყობაში. მოსწავლეთა შორის დისციპლინის ყოველმხრივი განმტკიცებით კომკავშირულმა და პიონერულმა ორგანიზაციებმა მოწაფეებს უნდა ჩაუნერგონ სწავლისა და ყოფაქცევისათვის პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა, ისევე როგორც ყოველთვის, ახლაც გამოცდების მომზადებისა და ჩატარების პერიოდში უნდა იყვნენ მასწავლებლის ნამდვილი თანაშემწენი.

გამოცდების მაღალ დონეზე ჩატარება დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ მოეწყობა მოსწავლეთა მეცადინეობა და დასვენება. სკოლამ და მოსწავლეთა მშობლებმა საქმე ისე უნდა მოაწყონ, რომ მოწაფის დრო განაწილებული იყოს რაც შეიძლება რაციონალურად, რათა სისტემატურ სასწავლო მეცადინეობას მოსდევდეს დასვენება.

ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა დაეხმარონ სკოლებს, რათა მათ წარმატებით დაამთავრონ მიმდინარე სასწავლო წელი და აქედანვე შეუდგნენ ახალი სასწავლო წლისათვის მზადებას.

# ვ. ი. ლენინის სტატია ბეჭდვითი სიტყვის შესახებ

ვ. ი. ლენინის სტატია „ჩვენი ამოცანები", რომელიც ქვემოთ იბეჭდება, დაწერილია 1914 წლის აპრილში და გამოქვეყნებულია როგორც დასკვნითი სტატია გაზეთ „რაბოჩის" („პრავდის" ერთ-ერთი სახელწოდება) პირველ ნომერში, რომელიც მთლიანად მიეძღვნა რუსეთის მუშათა ბეჭდვითი სიტყვის ისტორიას, „პრავდის" გამოცემის მეორე წლისთავთან დაკავშირებით. სტატიის შინაარსი მჭიდროდ დაკავშირებულია ვ. ი. ლენინის ნაშრომთან „რუსეთის მუშათა ბეჭდვითი სიტყვის წარსულიდან", რომელიც მან დაწერა გაზეთ „რაბოჩის" იმავე ნომრისათვის და რომელიც შესულია თხზულებებში (იხ. ტ. 20, გვ. 292-302).

*საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტი.*

## ჩვენი ამოცანები

ჩვენ გავაკეთეთ რუსეთის მუშათა ბეჭდვითი სიტყვის ისტორიისა და „პრავდის" შექმნის მოკლე მიმოხილვა. ჩვენ ვცდილობდით გვეჩვენებინა, როგორ გამოიწვია რუსეთში დემოკრატიულ მოძრაობათა საუკუნეობრივმა ისტორიამ შექმნა მუშათა დემოკრატიის დამოუკიდებელი მოძრაობისა მარქსიზმის იდეური დროშით; — როგორ გამოიწვია რუსეთში მარქსიზმისა და მუშათა მოძრაობის ოცი წლის ისტორიამ, წვრილბურჟუაზიულ, ოპორტუნისტულ მიმდინარეობათა წინააღმდეგ მუშათა ავანგარდის ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად, შეგნებული მუშების უდიდესი უმრავლესობის დარაზმვა „პრავდის" გარშემო, რომელიც მუშათა მოძრაობის 1912 წლის განთქმულმა გაზაფხულის აღმავლობამ შექმნა.

ჩვენ ვნახეთ, გაზეთის არსებობის ორი წლის მანძილზე როგორ დაირაზმნენ იდეურად, და რამდენადმე ორგანიზაციულადაც, შეგნებული პრავდისტი მუშები, რომლებიც თავიანთი ძალღონით ქმნიან და მხარს უჭერენ, განამტკიცებენ და ავითარებენ თანმიმდევრულად მარქსისტულ მუშათა ბეჭდვით სიტყვას. მტკიცედ იცავენ რა თავიანთ თანამიმდევრობას წინა ისტორიული ეპოქის ორგანიზებულ მარქსისტებთან, არ არღვევენ რა არცერთს მათს გადაწყვეტილებას, აშენებენ რა ახალს ძველის საძირკველზე და სისტემატურად, განუხრელად მიდიან რა წინ თანმიმდევრული მარქსიზმის მტკიცედ და ზუსტად დასახული მიზნისაკენ, პრავდისტმა მუშებმა დასაბამი მისცეს არაჩვეულებრივად ძნელი ისტორიული ამოცანის გადაწყვეტას.

უთვალავი მტერი, როგორც გარეშე, ისე შინაგანი, უამრავი სიძნელე გადაეღობა გზაზე მუშათა მოძრაობას 1908-1911 წლების ეპოქაში. მუშათა მოძრაობას მსოფლიოს ვერცერთ ქვეყანაში ჯერ კიდევ ვერ მოუხერხებია გამოსვლა **ამგვარი** კრიზისებიდან ისე, რომ შეენარჩუნებინა თანამიმდევრობა, ორგანიზებულობა, ძველი გადაწყვეტილებების, პროგრამისა და ტაქტიკისადმი ერთგულება.

რუსმა, — უფრო სწორად: რუსეთის — მუშამ **მოახერხა** ეს, მოახერხა ღირსეულად გამოსულიყო უმაგალითოდ მძიმე კრიზისიდან, შეენარჩუნებინა წარსულისადმი ერთგულება, შეენარჩუნებინა ორგანიზაციული თანამიმდევრობა, ამასთან ერთად შეეთვისებინა თავისი ძალების მომზადების **ახალი** ფორმები, პროლეტარიატის ახალ თაობათა განათლებისა და დარაზმვის **ახალი** ხერხები ძველი, ჯერ კიდევ გადაუწყვეტელი, ისტორიული ამოცანების ძველი მეთოდებით გადაწყვეტისათვის.

რუსეთის საზოგადოების ყველა კლასიდან მხოლოდ რუსეთის მუშათა კლასმა მოახერხა ეს, რა თქმა უნდა, არა იმიტომ, რომ იგი სხვა ქვეყნების მუშებზე მაღლა იდგა; — პირიქით, იგი ჯერ კიდევ ძალიან ჩამორჩება მათ თავისი ორგანიზებულობითა და შეგნებით. ეს მან იმიტომ მოახერხა, რომ იგი ერთსა და იმავე დროს **ეყრდნობოდა** მთელი მსოფლიოს მუშების **გამოცდილებას**, როგორც მათს თეორიულ გამოცდილებას, მათი შეგნებულობის, მათი მეცნიერების მონაპოვრებს, **მარქსიზმის** მიერ შეჯამებულ გამოცდილებას, — ისე მეზობელი ქვეყნების პროლეტარების პრაქტიკულ გამოცდილებას, პროლეტარებისა, რომლებსაც ჩინებული მუშათა ბეჭდვითი სიტყვა აქვთ და მასობრივი ორგანიზებულობა ახასიათებთ.

პრავდისტ მუშებს, რომლებმაც ყველაზე ძნელ და მძიმე დროს დაიცვეს **თავიანთი** ხაზი გარედან დევნისაგან და შიგნით უსასოობისა, რწმენანაკლებობისა, სულმოკლეობისა და ღალატისაგან, ახლა სრული შეგნებითა და სიმტკიცით შეუძლიათ უთხრან თავიანთ თავს: ჩვენ ვიცით, რომ სწორ გზაზე ვდგავართ, მაგრამ ჯერ მხოლოდ პირველ ნაბიჯებს ვდგამთ ამ გზაზე, და ჩვენ მოგველის მთავარი სიძნელეები, ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ, რომ საბოლოოდ განვმტკიცდეთ თვითონ, რომ შეგნებული ცხოვრებისათვის დავრაზმოთ მილიონობით ჩამორჩენილი, მძინარე და დაბეჩავებული პროლეტარი.

დაე პროლეტარიატის წვრილბურჟუაზიულმა „თანამგზავრებმა", რომლებიც მონურად მიჰყვებიან ლიბერალებს, ზიზღის გამომეტყველებით ილაპარაკონ „იატაკქვეშეთის" წინააღმდეგ, „არალეგალური ბეჭდვითი სიტყვის რეკლამირების" წინააღმდეგ; დაე მოიხიბლონ სამი ივნისის „ლეგალობით". ჩვენ ვიცით, რომ ეს „ლეგალობა" მტკიცე არ არის, ჩვენ არ დავივიწყებთ ისტორიულ გაკვეთილებს უცენზუროდ გამოცემული ბეჭდვითი სიტყვის მნიშვნელობის შესახებ.

შემდგომ განვავითარებთ რა „პრავდისტულ" მუშაობას, ჩვენ წმინდა საგაზეთო საქმეს წინ წავწევთ მუშათა საქმის **ყველა** მხარესთან ხელიხელჩაკიდებულად.

საჭიროა გავავრცელოთ „პუტ პრავდი" სამჯერ, ოთხჯერ და ხუთჯერ უფრო მეტად, ვიდრე ახლა. საჭიროა შევქმნათ საერთოპროფესიული დამატება, რედაქციაში ყველა პროფესიული კავშირისა და ჯგუფის წარმომადგენელთა მონაწილეობით. საჭიროა შევქმნათ ჩვენი გაზეთის საოლქო (მოსკოვის, ურალის, კავკასიის, ბალტიისპირეთის, უკრაინის) დამატებანი. საჭიროა განვამტკიცოთ — უკლებლივ ყველა ერის ყოველნაირ ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ ნაციონალისტთა წინააღმდეგ — რუსეთის **ყველა** ეროვნების მუშათა ერთიანობა და ამისათვის დასაბამი მივცეთ, სხვათა შორის, ჩვენი გაზეთის დამატებებს, რომლებიც მიეძღვნება რუსეთის სხვადასხვა ეროვნების მუშების მოძრაობას.

საჭიროა კიდევ ბევრჯერ და ბევრჯერ გავაფართოოთ „პუტ პრავდის" საზღვარგარეთის განყოფილებაც და შეგნებულ მუშათა **ორგანიზაციული**, იდეური და პოლიტიკური ცხოვრების ქრონიკაც.

საჭიროა შევქმნათ კაპიკიანი „ვეჩერნაია პრავდა"; „პუტ პრავდი" მისი ახლანდელი სახით აუცილებელია შეგნებული მუშისათვის და კიდევ უფრო უნდა გაფართოვდეს, მაგრამ იგი მეტად ძვირია, მეტად ძნელია, მეტად დიდია ქუჩის მუშისათვის, მასის მუშისათვის, მოძრაობაში ჯერ კიდევ ჩაუბმელ მილიონთა წარმომადგენლისათვის... მათ არასოდეს არ დაივიწყებს მოწინავე მუშა, რომელმაც იცის, რომ ამქრული კარჩაკეტილობა, შრომის არისტოკრატიის გამოყოფა, მასისაგან მისი განკერძოება ნიშნავს პროლეტარის გამოთაყვანებასა და გაპირუტყვებას, მის გადაქცევას უბადრუკ მეშჩანინად, ყურმოჭრილ მონად, ნიშნავს მისი განთავისუფლების ყოველი იმედის დაკარგვას.

საჭიროა შევქმნათ კაპიკიანი „ვეჩერნაია პრავდა", რომელიც 200, 300 ათას ცალად უნდა ვრცელდებოდეს პროლეტარულ და ნახევრადპროლეტარულ მასაში, უჩვენებდეს მას მსოფლიო მუშათა მოძრაობის შუქს, უნერგავდეს თავისი ძალების რწმენას, აძლევდეს ბიძგს შეკავშირებისათვის, ეხმარებოდეს სრულ შეგნებულობამდე ამაღლებაში.

საჭიროა მივაღწიოთ „პუტ პრავდის" მკითხველთა ახლანდელზე გაცილებით უფრო მეტ ორგანიზებულობას ცალკეულ ფაბრიკებში, ქარხნებში, რაიონებში და ა. შ., უფრო აქტიურ მონაწილეობას კორესპონდირებაში, გაზეთის გაძღოლაში, მის გავრცელებაში. საჭიროა მივაღწიოთ მუშების სისტემატურ მონაწილეობას რედაქტორულ მუშაობაში.

საჭიროა... მაგრამ განა ცოტა რამ არის კიდევ საჭირო! ჩვენ არ შეგვიძლია ჩამოვთვალოთ აქ ყველაფერი, რაც საჭიროა, ჩვენ სასაცილოც კი ვიქნებოდით (და სასაცილოზე უარესიც), რომ მოგვესურვებინა აქ ჩამოგვეთვალა ჩვენი მუშაობის ყველა ან მთავარი დარგები, ასპარეზები!

ჩვენ ვიცით, რომ სწორ გზაზე ვდგავართ. ჩვენ ვიცით, რომ ყველა ქვეყნის მოწინავე მუშების მხარდამხარ მივდივართ. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი მუშაობის ეს ასპარეზი მხოლოდ მცირე ნაწილაკია მთელისა, რომ ჩვენი განთავისუფლების დიადი გზის ჯერ მხოლოდ დასაწყისში ვართ. მაგრამ ჩვენ აგრეთვე ვიცით, რომ მსოფლიოში არ არსებობს ძალა, რომელსაც შეეძლოს შეგვაჩეროს ამ გზაზე.

**„რაბოჩი" № 1,** 1914 წ. 22 აპრილი.

**„პრავდა", 5-V.**

# ამხანაგმა ნ. ა. ბულგანინმა მიიღო საფრანგეთის რესპუბლიკის ელჩი ლუი ჟოქსი

5 მაისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა მიიღო საფრანგეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ლუი ჟოქსი. (საკდესი).

# ბრძანებულება

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### ამხ. ვ. ნ. სტაროვსკის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსის ამხ. ვ. ნ. სტაროვსკის დაბადების ორმოცდამეათე წლისთავთან დაკავშირებით და საბჭოთა სტატისტიკის განვითარების დარგში საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე მისი დამსახურების აღსანიშნავად ამხ. ვლადიმერ ნიკონის-ძე **სტაროვსკი** დაჯილდოებულ იქნას ლენინის ორდენით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.**

მოსკოვი, კრემლი. 1955 წ. 4 მაისი.

# პრესის დღისადმი მიძღვნილი კრება თბილისში

5 მაისს შ. რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში გაიმართა თბილისის პარტიული და საბჭოთა აქტივის საერთო საქალაქო კრება გაზეთების, ჟურნალების, გამომცემლობათა და პოლიგრაფიულ საწარმოთა მუშაკებთან ერთად. კრება მიეძღვნა პრესის დღეს.

პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან ამხანაგები ვ. პ. მჟავანაძე, მ. პ. გიორგაძე, ო. დ. გოცირიძე, დ. ვ. მჭედლიშვილი, ე. ა. სეხნიაშვილი, თ. ბ. ჯანელიძე, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები, გაზეთებისა და ჟურნალების რედაქტორები.

კრება გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. ნ. ე. ჰახრაკიამ.

მოხსენება პრესის დღის შესახებ გააკეთა გაზეთ „კომუნისტის" რედაქტორმა ამხ. ნ. უ. ჯაშმა. მომხსენებელმა ილაპარაკა ჩვენი პრესის ისტორიაზე. საბჭოთა პრესა, რომელიც კომუნისტურმა პარტიამ შექმნა და რომელსაც იგი ხელმძღვანელობს, ახალი ტიპის პრესაა, მისი უძლიერესი იდეოლოგიური და ორგანიზაციული იარაღია.

საბჭოთა პრესის წინაშე დასახულია პასუხსაგები ამოცანები მძიმე ინდუსტრიის შემდგომი უპირატესი განვითარებისათვის, სოფლის მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობისათვის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის.

კრებაზე გამოვიდნენ ჟურნალ „მნათობის" რედაქტორი ამხ. ს. ჩიქოვანი, გაზეთ „ზარია ვოსტოკას" რედაქტორის მოადგილე ამხ. ი. ხომერიკი, გამომცემლობა „ტექნიკა და შრომის" დირექტორი ამხ. შ. ბუაჩიძე, პოლიგრაფიულ კომბინატ „კომუნისტის" დირექტორი ამხ. შ. წივწივაძე, გარეუბნის რაიონული გაზეთის „სტალინის დროშის" რედაქტორი ამხ. მ. დელბაშიშვილი, ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის" რედაქტორი ამხ. ი. ნატროშვილი.

კრების დასასრულს გაიმართა კონცერტი. (საქდესი).

### სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარების ნახევარი წლის გეგმის შესრულების მიმდინარეობა საქართველოს სს რესპუბლიკაში

**1955 წლის 1 მაისისათვის.**

| წინ მიდიან: | ჩამორჩებიან: |
| --- | --- |
| სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქი | აფხაზეთის ასსრ |
| თიანეთის რაიონი | ცხაკაიას რაიონი |
| გურჯაანის „ | ფოთის „ |
| ამბროლაურის „ | ქუთაისის „ |
| გარდაბნის „ | კაჰრეთის „ |
| თელავის „ | საგარეჯოს „ |
| დუშეთის „ | წალენჯიხის „ |
| ლანჩხუთის „ | |

### სახელმწიფოსათვის რძის ჩაბარების ნახევარი წლის გეგმის შესრულების მიმდინარეობა საქართველოს სს რესპუბლიკაში

**1955 წლის 1 მაისისათვის.**

| წინ მიდიან: | ჩამორჩებიან: |
| --- | --- |
| მახარაძის რაიონი | ადიგენის რაიონი |
| ლაგოდეხის „ | მაიაკოვსკის „ |
| გარდაბნის „ | ასპინძის „ |
| გურჯაანის „ | ამბროლაურის „ |
| წყალტუბოს „ | ახმეტის „ |
| | ბორჯომის „ |

### სახელმწიფოსათვის კვერცხის ჩაბარების ნახევარი წლის გეგმის შესრულების მიმდინარეობა საქართველოს სს რესპუბლიკაში

**1955 წლის 1 მაისისათვის.**

| შეასრულეს ნახევარი წლის გეგმა: | ჩამორჩებიან: |
| --- | --- |
| წითელწყაროს რაიონმა | ზუგდიდის რაიონი |
| ახალციხის „ | ხობის „ |
| ასპინძის „ | კასპის „ |
| ბოგდანოვკის „ | წყალტუბოს „ |
| გარდაბნის „ | ჭიათურის „ |
| | ფოთის „ |

წინ მიდიან სახელმწიფოსათვის მატყლის ჩაბარების საქმეში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, გარდაბნის, კაჰრეთის, მარნეულის, ახმეტის და ყაზბეგის რაიონები.

### საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებში 1955 წლის 1 მაისისათვის

#### რძის ჩაბარების მიმდინარეობა

**წინ მიდიან:**

მუხროვანის საბჭოთა მეურნეობა.
გაგრის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა.

**ჩამორჩება:**

ელდარის საბჭოთა მეურნეობა.

#### წველადობა ერთ საფურაჟე ძროხაზე

**წინ მიდიან:**

კრწანისის საბჭოთა მეურნეობა.
ბაშკიჩეთის საბჭოთა მეურნეობა.
მუხროვანის საბჭოთა მეურნეობა.

**ჩამორჩებიან:**

ელდარის საბჭოთა მეურნეობა.
გაგრის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა.
ყულარის ცხენსაშენი.

#### ხბოების შენარჩუნება

**წინ მიდიან:**

ბაშკიჩეთის საბჭოთა მეურნეობა.
კრწანისის საბჭოთა მეურნეობა.
გაგრის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა.

**ჩამორჩებიან:**

ყარაიის საბჭოთა მეურნეობა.
მუხროვანის საბჭოთა მეურნეობა.
ელდარის საბჭოთა მეურნეობა.

#### ღორის მოზარდეულის შენარჩუნება

**წინ მიდიან:**

კრწანისის საბჭოთა მეურნეობა.

**ჩამორჩებიან:**

ძველი სენაკის საბჭოთა მეურნეობა.
ყარაიის საბჭოთა მეურნეობა.
ყულარის ცხენსაშენი.

# საბჭოთა პრესის დღის აღსანიშნავად

5 მაისს კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიმართა გაზეთების, ჟურნალების, გამომცემლობათა, პოლიგრაფიული საწარმოების მუშაკთა და მუშკორთა აქტივის მოსკოვის საერთო საქალაქო კრება, მიძღვნილი საბჭოთა პრესის დღისადმი.

მოხსენება პრესის დღის შესახებ გააკეთა გაზეთ „პრავდის" მთავარი რედაქტორის მოადგილემ პ. ა. სატიუკოვმა. მან დაახასიათა პრესის ამოცანები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენების დიდებული პროგრამის განხორციელებისათვის მშრომელთა მობილიზაციის საქმეში.

კრებას დაესწრნენ მთელი რიგი უცხო ქვეყნების პრესის წარმომადგენლები.

კრების მონაწილეებისათვის გაიმართა დიდი კონცერტი. (საკდესი).

## პარტიული ცხოვრება

# ავამაღლოთ კადრების ეკონომიური განათლების დონე

### პროპაგანდისტის შენიშვნები

პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო კადრებს მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკური ეკონომიის ღრმა ცოდნა ეხმარება კომუნისტური მშენებლობის საარსებო ამოცანების წარმატებით გადაჭრაში.

პარტიის რაიკომმა გაითვალისწინა ხელმძღვანელი მუშაკების დიდი ინტერესი ეკონომიური თეორიის დაუფლებისადმი და შექმნა პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელი წრე. წრეში გაერთიანებულია 22 ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკი, მათ შორის რვას უმაღლესი განათლება აქვს, ხოლო დანარჩენებს საშუალო.

თავიდანვე მეცადინეობას დიდად აძნელებდა პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელოს უქონლობა, აგრეთვე ის, რომ მსმენელთა საგრძნობ ნაწილს ეკონომიური თეორიის მინიმალური ცოდნაც კი არ ჰქონდა. ამიტომ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდი თვითეულ მსმენელთან ინდივიდუალურ მუშაობას. ვცდილობდი მსმენელებისათვის ნათელი გამეხადა ეკონომიური კანონების არსი, რაც შეიძლება გასაგებად ამეხსნა მათთვის ეკონომიური კატეგორიები და ცნებები.

მსმენელებს დამაჯერებელი მაგალითებით განვუმარტე, თუ როგორ დაკარგა თანამედროვე ბურჟუაზიულმა პოლიტიკურმა ეკონომიამ მეცნიერული ხასიათი და მონოპოლისტური კაპიტალის მსახურად გადაიქცა, რომ მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკური ეკონომია, რომელიც შემოქმედებითი მეცნიერებაა, საბჭოთა ადამიანებს აძლევს პერსპექტივის სიცხადეს, განუმტკიცებს მათ კომუნიზმის საბოლოო გამარჯვების რწმენას.

თვითეული მეცადინეობის მაღალ დონეზე წარმართვისათვის გულდასმით ვეცნობი რეკომენდებულ ლიტერატურას და დამხმარე მასალას. განსაკუთრებით ნაყოფიერი გახდა როგორც წრის, ისე ჩემი მუშაობა პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელოს გამოსვლის შემდეგ.

წრის ყოველი მეცადინეობა ეწყობა შემოქმედებითად, ცოცხალი საუბრის მეთოდით. საჭირო ყურადღება ექცევა მასალის დაკავშირებას თანამედროვეობასთან, ადგილობრივ ფაქტებთან. მაგალითად, თემის „სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონის“ შესწავლისას ღრმად იქნა განმარტებული სოციალისტური წარმოების მიზანი — მთელი საზოგადოების მუდმივად მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების მაქსიმალურად დაკმაყოფილების უზრუნველყოფა უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე.

ამ თემის გამო გამართულ ამხანაგურ დისკუსიაში აქტიური მონაწილეობა მიიღო სასოფლო-სამეურნეო ბანკის რწმუნებულმა ვ. გალდავაძემ. მან აღნიშნა, რომ სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონი განსაზღვრავს მძიმე ინდუსტრიის უპირატესი განვითარების აუცილებლობას, მოითხოვს უმოკლეს ვადაში დავძლიოთ სოფლის მეურნეობის ჩამორჩენა. ამ მხრივ ისტორიული მნიშვნელობა აქვთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტის, ივნისისა და იანვრის პლენუმების გადაწყვეტილებებს, რომელთა წარმატებით განხორციელება უზრუნველყოფს მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მკვეთრ აღმავლობას.

წრის მსმენელმა მ. ძზიანიძემ მოიყვანა სახალხო მეურნეობის განუხრელი ზრდის მაგალითები. მარტო 1954 წელს მწყობრში ჩადგა მძიმე და მსუბუქი მრეწველობის მრავალი საწარმო. ყოველივე ეს სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონის მოქმედების, საბჭოთა ხალხის დაუღალავი შემოქმედებითი შრომის შედეგია.

პოლიტიკური ეკონომიის შესწავლისას დიდ ყურადღებას ვაქცევ იმას, რომ მსმენელებს ჩავუნერგო წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის ჩვევები. ამას დიდად უწყობს ხელს მსმენელთა მიერ რეფერატების მომზადებისა და წრეში განხილვის პრაქტიკა. გავლილი მასალიდან მსმენელები ირჩევენ მათთვის სასურველ თემას რეფერატებისათვის. მე მათ საჭირო დახმარებას ვუწევ სათანადო ლიტერატურის, ჟურნალებისა და გაზეთების შერჩევით. მათთან ერთად ვაზუსტებ რეფერატების გეგმას, ვმართავ ინდივიდუალურ და ჯგუფურ კონსულტაციებს, ვაწყობ საჭირო ლიტერატურისა და მასალების გამოფენას.

დღემდე წრეში რეფერატები წაკითხულია ისეთ თემებზე, როგორიც არის: „თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონი“, „სასაქონლო წარმოება სოციალიზმის დროს“, „სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა“, „სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია“ და სხვ.

იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ ამზადებენ და განიხილავენ მსმენელები რეფერატებს, მოვიყვან ერთ მაგალითს. მსმენელმა ი. შავლაყაძემ გადაწყვიტა რეფერატის მომზადება თემაზე: „სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა“. ამ თემაზე რეფერატის მოსამზადებლად მე მას შევურჩიე კ. მარქსის, ვ. ლენინის და ი. სტალინის სათანადო შრომები. ამასთან ერთად მოვაწყე მსმენელთა ექსკურსია ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში, სადაც ისინი გაეცნენ საწარმოს ძირითად საამქროთა მუშაობას. ექსკურსიაზე მიღებული შთაბეჭდილება მნიშვნელოვნად დაეხმარა ი. შავლაყაძეს საინტერესო რეფერატის მომზადებაში. წრეში რეფერატის განხილვამ მსმენელთა დიდი აქტივობა და აზრთა გაცხოველებული გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია. სიტყვით გამოსულმა ინჟინერმა გ. აბაშიძემ, რომელიც შარშან სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე იყო, ილაპარაკა სოციალისტური ინდუსტრიის განუხრელ აღმავლობაზე. ო. აფხაზავა თავის გამოსვლაში შეეხო იმას, თუ როგორ განმტკიცდა სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, განსაკუთრებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდეგ. ინჟინერმა ა. ბახტაძემ საინტერესო მაგალითები მოიყვანა წულუკიძის მტს-ის მუშაობის პრაქტიკიდან.

წინათ კადრების ეკონომიური ცოდნით შეიარაღებას აფერხებდა პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელოს უქონლობა. ამჟამად ეს მდგომარეობა გამოსწორებულია. მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკური ეკონომიის შესწავლისათვის ახლა ყველა საჭირო პირობაა შექმნილი.

სასურველია გაზეთმა „კომუნისტმა“ უფრო ხშირად დაბეჭდოს სტატიები ეკონომიკის საკითხებზე. ამასთან ერთად კარგი იქნება, თუ რედაქცია გამოაქვეყნებს მასალებს პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელი წრეებისა და სემინარების გამოცდილებაზე.

**კ. ცაცუა,**

პარტიის წულუკიძის რაიკომთან არსებული პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელი წრის პროპაგანდისტი.

## გარეუბნის რაიონში

### სოფლის ცენტრის კეთილმოწყობა

სოფელ დიდი ლილოს ცენტრში ლამაზად გამოიყურება ორსართულიანი კულტურის სახლი. მის წინ გაშენებულია დეკორაციული ბაღი, რომელშიც აღმართულია ი. ბ. სტალინის მონუმენტი. აქ მრავალი კულტურული დაწესებულებაა: საავადმყოფო, საბავშვო ბაღი, სკოლა, კავშირგაბმულობის განყოფილება და სხვ. სოფელი კარგა ხანია ელექტროფიცირებულია, მას აქვს საკუთარი რადიოკვანძი.

### ახალი იარაღ-მანქანები

დღითიდღე იზრდება და ახალი იარაღ-მანქანებითა და მოწყობილობით მტკიცდება დიღმის მტს-ი. აქ მიიღეს და ნაყოფიერად იყენებენ ჩითილის სარგავ მანქანას, საწვიმარ აპარატს, მარცვლის საწმენდს და სხვ. მტს-ში მოწყობილია რადიოდანადგარი მინდვრად მომუშავე მექანიზატორებისათვის ოპერატიული ხელმძღვანელობის გასაწევად.

### საცხოვრებელი სახლები მექანიზატორებს

რაიონში არსებული მტს-ების მექანიზატორები იშენებენ ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლებს. მრავალმა მექანიზატორმა მიიღო სახელმწიფოსაგან სესხი. ახალი სახლები აიშენეს მარტყოფის მტს-ის მთავარმა მექანიკოსმა ნ. კანდელაკმა, თელეთის მტს-ის სარემონტო სახელოსნოს გამგემ ქ. გოგოლაძემ და სხვებმა.

### მოწინავე სასოფლო ბიბლიოთეკა

ნათელ და კარგ შენობაშია მოთავსებული სოფელ ბაგების სასოფლო ბიბლიოთეკა, რომლის წიგნების ფონდი დღითიდღე იზრდება. ახლა ბიბლიოთეკას აქვს ოთხი ათასამდე წიგნი — მხატვრული, პოლიტიკური, საბავშვო და სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურა. ბიბლიოთეკაში ხშირად ეწყობა მკითხველთა კონფერენციები, აქ შექმნილია წრეები, რომლებშიც ჩაბმულია სოფლის ინტელიგენცია და კოლმეურნეები. ბიბლიოთეკას 500-ზე მეტი მკითხველი ჰყავს.

## საკოლმეურნეო შრომის ნაყოფი

წითელწყარო. (სპეც. კორ.). სულ უფრო კეთილმოწყობილი ხდება სოფელი ჯაფარიძე. სოფელში მუშაობს რადიოკვანძი, გახსნილია 8-წლიანი სკოლა, სამკითხველო, მოწყობილია საექიმო უბანი, აგებულია საკოლმეურნეო ელექტროსადგური, აბანო.

ამჟამად სოფელში შენდება ლამაზი ორსართულიანი კაპიტალური შენობა. ეს მომავალი საკოლმეურნეო კულტურის სახლია, რომელსაც ექნება 500-ადგილიანი დარბაზი, მოძრავი სცენა, დიდი, კომფორტაბელურად მოწყობილი ფოიე და 8 ოთახი საწრეო მუშაობისათვის.

შენობის მეორე სართული განკუთვნილია კოლმეურნეობის კანტორისათვის.

კულტურის სახლის მშენებლობა დაიწყო სამი თვის წინათ და დამთავრდება წელს დეკემბერში. მშენებლობაზე დაიხარჯება 2 მილიონი მანეთი.

კოლმეურნეები ხალისით მუშაობენ მშენებლობაზე. მათ გადაწყვეტილი აქვთ წარმატებით შეასრულონ ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაო, ამავე დროს გააძლიერონ მშენებლობის ტემპი და ვადამდე გადასცენ შენობა საექსპლოატაციოდ. განსაკუთრებით აღსანიშნავია კოლმეურნე მჭედლების შ. ზურაშვილის და ვ. დრაბახინის მუშაობა. ბეჯითად მუშაობენ აგრეთვე სამშენებლო ბრიგადის წევრები მოწინავე კოლმეურნეები მ. გოგოლაშვილი, ლ. ცაკაშვილი, შ. ბენაშვილი, ი. შარმაზანაშვილი და სხვები.

კოლმეურნეობა ერთი წლის განმავლობაში ასეთ დიდ ნაგებობას რომ აშენებს, ეს, ცხადია, მის სამეურნეო სიმტკიცეს და დიდ მატერიალურ შესაძლებლობებს მოწმობს.

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

# საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სამონადირო მეურნეობის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილა საკითხი რესპუბლიკაში სამონადირო ფაუნის მდგომარეობისა და სამონადირო მეურნეობის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ.

რესპუბლიკაში სამონადირო მეურნეობის არადამაკმაყოფილებელი ორგანიზაციის, ნადირობის წესების დაუცველობისა და ამ წესების დამრღვევეთა წინააღმდეგ ბრძოლის შესუსტების შედეგად ძვირფასი სამონადირო ცხოველების — ჯიხვის, არჩვის, შველისა და გარეული ფრინველების — ხოხბის, კაკაბისა და გნოლის მარაგი მნიშვნელოვნად შემცირდა.

თითქმის სრულიად გაქრა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ნიამორი, ჯეირანი და ზოგიერთი სხვა ძვირფასი ცხოველი, ფრინველებიდან — დურაჯი.

რესპუბლიკის სამონადირო ფაუნის ასეთი მდგომარეობის მიუხედავად, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნაკრძალებისა და სამონადირო მეურნეობის სამმართველო, საქართველოს მონადირეთა კავშირი, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო სამონადირო საზოგადოების საოლქო საბჭო, მონადირეთა ამხანაგობები ადგილებზე და მშრომელთა დეპუტატების რაიონული და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ ამ ძვირფასი სამონადირო ცხოველებისა და გარეული ფრინველების მარაგის აღდგენისა და გადიდების საქმეს, ვერ უზრუნველყოფენ სამონადირო ფაუნის დაცვას და ნადირობის წესების დამრღვევეთა წინააღმდეგ ბრძოლას.

რესპუბლიკაში ძვირფასი სამონადირო ცხოველებისა და გარეული ფრინველების დაცვა-განვითარების უზრუნველყოფისა და სამონადირო მეურნეობის მოწესრიგების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაავალა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნაკრძალებისა და სამონადირო მეურნეობის სამმართველოს და საქართველოს მონადირეთა კავშირს — „მონკავშირს“, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან ერთად, სამი თვის ვადაში მოაწყონ საქართველოს სსრ ყველა რაიონში სამონადირო აღკვეთილები, თვითეული სულ ცოტა 300 ჰექტარ ფართობზე, რომლებშიც დროებით, არა უმეტეს 10 წლისა, აიკრძალება ძვირფას ცხოველებზე და გარეულ ფრინველებზე ნადირობა, აგრეთვე მოაწყონ მიწერილი სამონადირო სავარგულები.

მიწერილი სამონადირო სავარგულების შესახებ დამტკიცებული დებულების თანახმად სამონადირო მეურნეობაში ხორციელდება სამონადირო ფაუნის მარაგის შენარჩუნებისა და გადიდების, მისი გეგმიანი გამოყენების, მიწერილი სამონადირო მეურნეობის ტერიტორიაზე მონადირეების სწორად განაწილების, სამონადირო სავარგულების სარგებლობის გაუპიროვნების ლიკვიდაციის ღონისძიებანი.

სამონადირო მეურნეობებში მონადირეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების მიზნით უნდა მოეწყოს სამონადირო სადგურები, ბაზები, მომსახურება გაეწიოს მონადირეებს სატრანსპორტო საშუალებით, სანადირო ინვენტარით და ა. შ.

სამონადირო სავარგულები შეიძლება მიეწეროს საქართველოს მონადირეთა კავშირს და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო სამონადირო საზოგადოების სამონადირო ორგანიზაციებს, აგრეთვე სხვა ორგანიზაციებს.

სამონადირო აღკვეთილებში სამონადირო ფაუნის დაცვისა და მიწერილ მეურნეობებში ნადირობის სწორად მოწყობისათვის პასუხისმგებლობა დაეკისრათ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს. მათ ამ მუშაობაში ფართოდ უნდა ჩააბან სახელმწიფო და საკოლმეურნეო ტყეების სატყეო დაცვის მუშაკები, ადგილობრივი სამონადირო ორგანიზაციები და მონადირეობის საზოგადოებრივი ინსპექტორები.

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 5 წლის ვადით აკრძალულია ხოხობსა და გნოლზე ნადირობა, ხოლო ქალაქ თბილისის გარშემო 12 კილომეტრის რადიუსით — ლოჭინის, ვაზიანის, მარტყოფის, გლდანის, დიღმის (დიღმის მინდვრის გამოკლებით), წყნეთის, კიკეთის, ზემო თელეთის და სოღანლუღის ფარგლებში სავსებით აკრძალულია კაკაბზე და შველზე ნადირობა.

ირმის, ჯიხვის, შველის და არჩვის მოკვლა იწარმოებს მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს მონადირეთა კავშირის „მონკავშირის“ და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო სამონადირო საზოგადოების საოლქო საბჭოს ნებართვით, იმ ლიმიტის ფარგლებში, რასაც მათ თვითეული სანადირო სეზონისათვის დაუწესებს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნაკრძალებისა და მონადირეობის მეურნეობის სამმართველო.

იხვზე, ბატზე, სარსარაკზე, სავათზე და სხვა გარეულ ფრინველზე ნადირობის ვადა („საქართველოს რესპუბლიკაში სამონადირო მეურნეობისა, მონადირეობის წესებისა და ვადების დებულების“ „გ“ პუნქტის მიხედვით) შემცირდა ერთი თვით, ხოლო 15 თებერვლიდან 15 აგვისტომდე ნადირობა ამ ფრინველებზე საერთოდ აიკრძალა; კაკაბზე ნადირობის ვადა შემცირებულია 2 თვით, ნადირობა ამ ფრინველზე შესაძლებელია 1 ნოემბრიდან 31 დეკემბრამდე.

ამავე დროს განისაზღვრა გარეული ფრინველების მოპოვება ერთ მონადირეზე ერთი ნადირობის დროს (თუნდაც იგი ორ ან მეტ დღეს გრძელდებოდეს) არა უმეტეს 10 იხვისა და ბატისა ერთად, არა უმეტეს 10 სარსარაკისა და 2 სავათისა და არა უმეტეს 30 მწყერისა.

თუ მონადირე დაარღვევს გარეული ფრინველის მოპოვების დაწესებულ ნორმებს, მას ჩამოერთმევა ამ ფრინველის მთელი ნანადირევი.

საქართველოს მონადირეთა კავშირს და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო სამონადირო საზოგადოების საოლქო საბჭოს დაევალა მოაწყონ „ყორუღის“ — სამონადირო მეურნეობის მსგავსი თითო-თითო სანიმუშო სამონადირო მეურნეობა.

გარდა ამისა „მონკავშირმა“ ქალაქების თბილისის, ქუთაისის და რუსთავის მონადირეებისათვის, სათანადო საბჭოების აღმასკომებთან შეთანხმებით, საჭირო რაოდენობით უნდა მოაწყოს მიწერილი სამონადირო მეურნეობები და ყოველ სანადირო სეზონში ქალაქ თბილისის და რუსთავის მონადირეებისათვის დააწესოს გადამფრენ გარეულ ფრინველებზე — მწყერზე, ტყის ქათამზე, ჭოვილოზე და იხვზე ნადირობის ადგილები.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნაკრძალებისა და სამონადირო მეურნეობის სამმართველოს, საქართველოს მონადირეთა კავშირს და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო სამონადირო საზოგადოების საოლქო საბჭოს დაევალათ განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ძვირფასი სანადირო ფაუნის გადიდებას და გამრავლებას, კულტურული სამონადირო მეურნეობის შექმნას და მოსპობის გზაზე დამდგარი ადგილობრივი სამონადირო ფაუნის სახეობათა (დურაჯისა და გნოლის) აღდგენა-განვითარებას.

ამ ორგანიზაციებმა რადიოსატრანსლაციო ქსელის, რესპუბლიკური და ადგილობრივი გაზეთების საშუალებით, პოპულარული ბროშურების გამოცემით ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა უნდა ჩაატარონ სამონადირო მეურნეობის მოწესრიგების, ძვირფასი სამონადირო ფაუნის გამრავლების საკითხებზე, გააძლიერონ ბრძოლა მავნე — მტაცებელი მხეცების წინააღმდეგ.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებმა, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასკომმა, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა, სასოფლო საბჭოებმა და კოლმეურნეობათა გამგეობებმა, საქართველოს მონადირეთა კავშირმა და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო სამონადირო საზოგადოების საოლქო საბჭომ გადამწყვეტი ზომები უნდა მიიღონ ნადირობის წესების დარღვევების აღმოსაფხვრელად და ამ წესების დამრღვევეთა სასტიკ პასუხისგებაში მისაცემად.

## რედაქტორის ანგარიში რაიკომის ბიუროზე

ამ დღეებში პარტიის ლაგოდეხის რაიკომის ბიურომ მოისმინა რაიონულ გაზეთ „გამარჯვების დროშის“ რედაქტორის ი. ნოზაძის ანგარიში. ბიუროზე აღინიშნა, რომ, მიუხედავად ერთგვარი წარმატებისა, გაზეთი „გამარჯვების დროშა“ სუსტად ეწევა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა პროპაგანდას. მის ფურცლებზე იშვიათად გვხვდება მასალები უხვი მოსავლის ოსტატების მუშაობაზე, ნაკლები ყურადღება ექცევა სიმინდის ორი მოსავლის მოყვანისათვის ბრძოლას, მივიწყებული უბანია მეცხოველეობის საკითხების გაშუქება. რედაქცია არ ზრუნავს აქტივის მიზიდვისათვის.

ბიურომ დასახა ღონისძიებანი გაზეთის რედაქციის მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

## პროპაგანდისტთა და აგიტატორთა დასახმარებლად

# დიადი გამარჯვება

საბჭოთა კავშირის ხალხები, მთელი პროგრესული კაცობრიობა აღნიშნავენ ფაშისტურ გერმანიაზე მსოფლიო-ისტორიული გამარჯვების მეათე წლისთავს. 1945 წლის 2 მაისს საბჭოთა ჯარებმა გამარჯვების დროშა ააფრიალეს ბერლინში, ხოლო 1945 წლის 8 მაისს ჰიტლერული არმიის სარდლობამ ხელი მოაწერა სრული და უსიტყვო კაპიტულაციის აქტს.

განვლილი ათი წელიწადი იყო ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარების, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების უზრუნველყოფისათვის ბეჯითი მშვიდობიანი შრომის წლები.

საბჭოთა ხალხი გამარჯვების დღეს ხვდება კომუნისტური მშენებლობის თვალსაჩინო წარმატებათა ვითარებაში, მშვიდობისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის პირობებში. სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელები ღირსშესანიშნავ თარიღს ეგებებიან დიდი წარმატებებით სოციალიზმის მშენებლობაში, დარაზმულნი მშვიდობისა და დემოკრატიისათვის ბრძოლაში. უდიდესი მიღწევები საბჭოთა სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წარმატებანი სოციალიზმის მშენებლობაში წლითიწლობით სულ უფრო ღრმად და მკაფიოდ გვიჩვენებენ იმ გმირობის სიდიადეს, რომელიც საბჭოთა ხალხმა და მისმა შეიარაღებულმა ძალებმა გამოიჩინეს, საბჭოთა კავშირის ისტორიული განმათავისუფლებელი მისიის სიდიადეს წარსულ ომში.

* * *

საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომი იყო ყველაზე სამართლიანი, განმათავისუფლებელი ომი კაცობრიობის ისტორიაში. ამ ომში საბჭოთა ხალხი იცავდა სოციალისტური სამშობლოს ღირსებას, თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, სხვა ქვეყნების თავისუფლებას და ფაშისტური ტირანიისაგან დამოუკიდებლობას. გერმანელ ფაშისტთა ჯარების ვერაგულმა თავდასხმამ, რომლებიც ეყრდნობოდნენ არა მარტო გერმანიის, არამედ აგრეთვე ევროპის ქვეყნების უმრავლესობის ეკონომიკასა და ადამიანთა რესურსებს, ჩვენი სამშობლო ჩააყენა მძიმე პირობებში და მოითხოვა მთელი ძალების დაძაბვა, რათა გავმკლავებოდით მტრის შემოტევას, გაგვენადგურებინა მისი არმია და მოგვეპოვებინა სრული გამარჯვება მასზე.

საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მამაცურად გადაიტანა ყველა მსხვერპლი და ომის გაჭირვება. დიდი განსაცდელის წლებში იგი უფრო მჭიდროდ დაირაზმა თავისი პარტიის გარშემო, მოახდინა თავისი ქვეყნის მთელი რესურსების მობილიზაცია, შეძლო მოემარაგებინა არმია ყოველივე იმით, რაც საჭირო იყო ომის წარმოებისათვის, და ძლიერ და ვერაგ მტერზე მოიპოვა უდიდესი მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება.

ომის მსვლელობაში საბჭოთა არმია, აწარმოებდა რა მედგარ ბრძოლებს მტერთან, განუწყვეტლივ აუმჯობესებდა თავის საბრძოლო წვრთნას, შეიარაღებას, მხედრულ ოსტატობას. საბჭოთა არმიის უკვე პირველმა გამარჯვებებმა ცხადყო ჰიტლერული „ელვისებური ომის თეორიის“ და საბჭოთა კავშირის მალე განადგურების მთელი უსაფუძვლობა და ფანტასტიკურობა. საბჭოთა არმია სულ უფრო აძლიერებდა ძალებს და განუწყვეტლივ ანადგურებდა ფაშისტთა ჯარებს. მტრის ურდოების განადგურება მოსკოვთან და სტალინგრადთან, კურსკის ბრძოლა და სხვები, რომლებიც სამხედრო ხელოვნების კლასიკური ნიმუშები გახდა, ისეთი ოპერაციებია, რომელთა ბადალი ომების ისტორიამ არ იცოდა.

ომის ფრონტებზე შეიარაღებული ძალების საბრძოლო მოქმედებას მხარს უჭერდა მასობრივი პარტიზანული მოძრაობა მტრის ზურგში. საბჭოთა ადამიანებს, რომლებიც დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე დარჩნენ, ქედი არ მოუხრიათ აგრესორის წინაშე, არამედ გმირული ბრძოლა გააჩაღეს მის წინააღმდეგ.

საბჭოთა ზურგი ჩვენი შეიარაღებული ძალების საიმედო დასაყრდენი იყო. მეტისმეტად ძნელ და რთულ პირობებში ჩვენი ქვეყნის მრეწველობა მოკლე ვადაში გადაყვანილ იქნა სამხედრო წარმოებაზე. საბჭოთა ხალხის ღონისძიებებით ლიკვიდირებულ იქნა ჰიტლერული ჯარების რაოდენობრივი უპირატესობა სამხედრო ტექნიკის მხრივ და უზრუნველყოფილ იქნა სამხედრო წარმოების ისეთი დონე, რომელმაც გერმანიის სამხედრო მრეწველობის მაჩვენებლები შორს მოიტოვა უკან. ჩვენმა კონსტრუქტორებმა შექმნეს ახალი ნიმუშების იარაღი, რომელიც თავისი თვისებებით მნიშვნელოვნად სჯობდა მოწინააღმდეგის შეიარაღებას. კოლმეურნე გლეხობამ, მიუხედავად იმისა, რომ ომმა დიდი ზარალი მიაყენა სოფლის მეურნეობას, უზრუნველყო არმიისა და ჩვენი ქვეყნის მომარაგება სურსათით და ნედლეულით.

საბჭოთა კავშირის ხალხთა თავდადებული ბრძოლის შედეგად ჰიტლერული სახელმწიფო განადგურებულ იქნა.

დიდ სამამულო ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვების ძირითადი პირობა იყო ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საყოველთაო-სახალხო ბრძოლის სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორის — კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობა. ჩვენმა პარტიამ, რომელიც მჭიდროდ იყო დარაზმული თავისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო ლენინის საქმის დიდი განმგრძობის — ი. ბ. სტალინის მეთაურობით, საბჭოთა ხალხი აღაფრთოვანა გმირული ბრძოლისათვის და ჩაუნერგა გამარჯვების ურყევი რწმენა. პარტიის ხელმძღვანელობის მეოხებით, ომის ძნელ პირობებში, მოხერხდა ფრონტისა და ზურგის მოქმედების სრული ერთიანობის მიღწევა.

დიდ სამამულო ომში გამარჯვებამ ცხადყო სოციალისტური საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების ურყევი სასიცოცხლო ძალა და იგი კომუნისტური პარტიის პოლიტიკის გამარჯვებას წარმოადგენდა.

ომის მსვლელობაში საბჭოთა კავშირმა ფაშისტურ გერმანიას მიაყენა არა მარტო სამხედრო და ეკონომიური, არამედ მორალური დამარცხებაც. ნაციონალიზმისა და რასიზმის ჰიტლერული მხეცური იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლაში გაიმარჯვა საბჭოთა საზოგადოების იდეოლოგიამ, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეოლოგიამ, გაიმარჯვეს ხალხთა მეგობრობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეებმა.

დღესასწაულობს რა ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების მეათე წლისთავს, გამარჯვებისა, რომელშიც გადამწყვეტი როლი შეასრულეს სსრ კავშირის შეიარაღებულმა ძალებმა, საბჭოთა ხალხი აღნიშნავს საერთო ბრძოლაში სხვა ქვეყნების ხალხთა, ანტიჰიტლერულ კოალიციაში მოკავშირეთა დამსახურებას. დიდია აგრეთვე მსხვერპლი, რაც საფრანგეთის, ინგლისისა და სხვა ქვეყნების ხალხებმა გაიღეს გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ანტიჰიტლერული კოალიციის ქვეყნების ხალხთა საბრძოლო თანამშრომლობამ, მათმა საერთო ღონისძიებებმა ხელი შეუწყო მტრის უსწრაფესად განადგურებას.

მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა ხალხმა და მისმა შეიარაღებულმა ძალებმა ღირსეულად შეასრულეს თავიანთი დიდი განმათავისუფლებელი მისია და არა მარტო დაიცვეს თავიანთი სამშობლოს დამოუკიდებლობა, არამედ სხვა ქვეყნების ხალხებიც გაათავისუფლეს ფაშისტური დამონებისაგან, იხსნეს მსოფლიო ცივილიზაცია.

მეორე მსოფლიო ომი დამთავრდა იმპერიალისტებისათვის მოულოდნელი შედეგებით. საბჭოთა კავშირის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვების შედეგად იმპერიალიზმის სისტემას ჩამოშორდნენ ევროპისა და აზიის მთელი რიგი ქვეყნები, სადაც დამყარდა სახალხო-დემოკრატიული წყობილება. ჩვენი სამშობლო, იმპერიალისტთა გეგმების საწინააღმდეგოდ, რომლებსაც მისი დასუსტების იმედი ჰქონდათ, ომიდან უფრო ძლიერი გამოვიდა. ამრიგად, მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვებამ გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა იმპერიალიზმის სისტემას, რის შედეგადაც გამწვავდა და გაღრმავდა კაპიტალიზმის საერთო კრიზისი.

ომისშემდგომ პერიოდში უფრო გაფართოვდა და განმტკიცდა მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკი, რომელსაც სათავეში უდგას საბჭოთა კავშირი. ევროპის ცენტრში შეიქმნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ გაიმარჯვა დიდმა ჩინელმა ხალხმა და შეიქმნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, რომელიც მძლავრი დაბრკოლება გახდა აზიაში იმპერიალიზმის აგრესიული გეგმების გზაზე. ფართოდ გაჩაღდა კოლონიებისა და დამოკიდებული ქვეყნების ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. მთელი რიგი ქვეყნები უკვე განთავისუფლდნენ იმპერიალიზმზე კოლონიური დამოკიდებულებისაგან.

ყოველივე ამან უფრო დაასუსტა აგრესიული იმპერიალისტური ბანაკი.

ომისშემდგომმა განვითარებამ ახალი ძალით ცხადყო სოციალისტური წყობილების დიდი უპირატესობა კაპიტალისტური წყობილების წინაშე. საბჭოთა კავშირში არა მარტო მოკლე ვადაში აღდგენილ იქნა ომით დანგრეული სახალხო მეურნეობა, არამედ უზრუნველყოფილ იქნა მისი შემდგომი აღმავლობაც. 1954 წელს მთელი სამრეწველო პროდუქციის გამოშვება 1940 წელთან შედარებით გადიდდა 2,8-ჯერ, ხოლო მძიმე მრეწველობისა 3,4-ჯერ. მნიშვნელოვნად გაიზარდა ფართო მოხმარების საქონლის გამოშვება, გადიდდა საქონელბრუნვა. ნაციონალური შემოსავალი 1953 წელს გადიდდა 2,5-ჯერ და მეტად ომამდელ პერიოდთან შედარებით, ხოლო 1954 წელს კიდევ 11 პროცენტით გაიზარდა.

დიდებული ამოცანები დასახა პარტიამ უახლოესი წლებისათვის. სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის გადაწყვეტილებებში დასახულია მძიმე ინდუსტრიის უპირატესი განვითარების ბაზაზე სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების პროგრამა.

დასახულია სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების გეგმა, რომელიც ითვალისწინებს, რომ უახლოეს ხუთ-ექვს წელიწადში მარცვლეულის საერთო მოსავალი ავიყვანოთ სულ ცოტა 10 მილიარდ ფუთამდე წელიწადში და ერთიორად და მეტად გავადიდოთ

### პრესის მიმოხილვა

## პარტიული ცხოვრების საკითხები საქალაქო გაზეთში

ტყვარჩელის საქალაქო პარტიული ორგანიზაცია სათავეში უდგას მეშახტეთა და შახტმშენებელთა საწარმოო აქტივობას, რაზმავს მათ შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის, მოწყობილობის უკეთ გამოყენებისათვის, ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის საბრძოლველად.

ამჟამად ქალაქის პარტიული ორგანიზაციები პრაქტიკულად ახორციელებენ საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე მიღებულ გადაწყვეტილებებს, სისრულეში მოჰყავთ კომუნისტების საქმიანი შენიშვნები და წინადადებები. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრ პარტიულ ორგანიზაციას სერიოზული ნაკლოვანებები აქვს თავის მუშაობაში. მთელ რიგ შემთხვევებში კვლავ დაბალია წარმოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის დონე.

საქალაქო პარტიული ორგანიზაციის მუშაობამ ნათელი ასახვა უნდა ჰპოვოს ადგილობრივი გაზეთის „ტყვარჩელის მაღაროელის“ ფურცლებზე. გაზეთი მოვალეა ხშირად გამოაქვეყნოს წერილები და კორესპონდენციები პარტიული ორგანიზაციების ცხოვრების, მათი გამოცდილებისა და ნაკლოვანებების შესახებ, ხელი შეუწყოს პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებას.

მიმდინარე წლის 1 იანვრიდან 22 აპრილამდე გაზეთმა ქალაქის პარტიული ორგანიზაციების საქმიანობას მიუძღვნა 8 მოწინავე სტატია, 12 წერილი და 5 კორესპონდენცია. გარდა ამისა, გამოაქვეყნა რაიკომის პლენუმის ანგარიში, აგრეთვე ვრცელი ინფორმაცია ქალაქის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული აქტივის კრების შესახებ. ყველა ეს მასალა ერთფეროვანია და ღრმა შთაბეჭდილებას ვერ ტოვებს მკითხველზე. წერილებისა და კორესპონდენციების უმეტესობა მიძღვნილია საავიტაციო-მასობრივი მუშაობისა და პარტიული განათლების საკითხებისადმი, მაგრამ ეს საკითხებიც ვერ არის გაშუქებული სათანადო სიღრმითა და სისრულით. გარდა ამისა, თითო-ოროლა მასალა გამოქვეყნებულია კომუნისტების ავანგარდული როლის, პარტიული ჯგუფების მუშაობის, დადგენილებების შესრულების შემოწმების, ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობის, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის საკითხებზე.

წერილებისა და კორესპონდენციების ნაწილი საკმაოდ კარგად, გამართულად არის დაწერილი, დებულებები განმტკიცებულია მოფიქრებულად შერჩეული ფაქტებით. თავის გამოცდილებას დაწვრილებით გადმოგვცემს, მაგალითად, კონსულტანტი გ. მიქაშავიძე. დამაჯერებლად არის შედგენილი წერილები ვ. ხეჩიანისა — ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობის შესახებ, ნ. მისოჩენკოსი — მეხუთე შახტის კომუნისტების ავანგარდული როლის შესახებ და სხვ. მაგრამ ბევრი კორესპონდენცია და წერილი შედგენილია ზერელედ, ნაჩქარევად და არ ასახავს ადგილებზე არსებულ ფაქტიურ მდგომარეობას. ზერელეა, მაგალითად, გაზეთის 29 იანვრის ნომერში გამოქვეყნებული წერილი „კომუნისტების იდეური დონის ამაღლებისათვის“. ავტორი — პროპაგანდისტი ვ. კალანდარაშვილი მოგვითხრობს არა მისი წრის მუშაობაზე, არამედ რომელიღაც ბროშურაში ამოკითხულ ამბავს პროპაგანდისტის საქმიანობის შესახებ. წერილში ბევრია ზოგადი, არაფრისმთქმელი ადგილი, გაუგებარი ფრაზები, შეუსაბამო დასკვნები. პროპაგანდისტი წერილში გვიამბობს, თუ რას აქცევს ყურადღებას „საპროგრამო მასალის ათვისებასთან ერთად“, მაგრამ ვერ განმარტავს, პრაქტიკულად როგორ აკეთებს ამას.

მეორე შახტის პარტბიუროს მდივნის მოადგილის ი. რაზდაიბედინის წერილი „ავამაღლოთ პარტჯგუფის როლი“ აქტუალურ საკითხს ეხება, მაგრამ დაწერილია დაუდევრად, მასში უსისტემოდ ჩამოთვლილია ფაქტები და მოცემული არ არის მუშაობის ანალიზი.

ზოგჯერ რედაქციის მუშაკები მრავალფეროვანი ფაქტების შეგროვებისათვის თავს არ იწუხებენ და ერთი და იმავე მასალით იოლად მიდიან. ამას ადასტურებს გაზეთის 27 იანვრის ნომერი, რომლის მოწინავე წერილი „აგიტატორთა საბრძოლო ამოცანები“ და კორესპონდენციები „საპატიო აგიტატორის მოვალეობა“ და „აკარმარის საარჩევნო უბნის აგიტპუნქტში“ აგებულია ერთსა და იმავე ფაქტებზე.

უნდა აღინიშნოს, რომ გაზეთი „ტყვარჩელის მაღაროელი“ სათანადოდ ვერ აშუქებს პარტიული ცხოვრების საკითხებს, სუსტად ეხმარება ქალაქის პარტიულ ორგანიზაციებს ყოველდღიურ მუშაობაში, თავის ფურცლებზე იშვიათად გამოაქვს პარტიული მუშაობის აქტუალური საკითხები. თითქმის ოთხი თვის განმავლობაში გაზეთს არაფერი დაუწერია ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, როგორიც არის პარტიული ორგანიზაციების ბრძოლა ქვანახშირის თვითღირებულების შემცირებისათვის, მოწყობილობის უკეთესად გამოყენებისათვის, შიდასაწარმოო რეზერვების გამოვლინებისათვის, მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდისა და წარმოებაში დანერგვისათვის. შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის სტალინის სახელობის შახტის პარტიული ორგანიზაციის ბრძოლის საკითხზე 17 მარტს გამოქვეყნებული კორესპონდენცია ვერ ავსებს ამ ხარვეზს. ამავე პერიოდში გაზეთს არ გახსენებია შინაპარტიული მუშაობის ისეთი საკითხები, როგორიც არის პარტიული კრება, მისი მომზადება და ჩატარება, საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე მიღებული დადგენილებების, კომუნისტთა შენიშვნებისა და წინადადებების განხორციელება და სხვ.

გაზეთის ერთ-ერთი ნაკლია ისიც, რომ რედაქციის მუშაკები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ წერილებისათვის შესაფერისი სათაურების შერჩევას. ამის შედეგია, რომ გაზეთში თითქმის მუდამ ერთნაირი, ტრაფარეტული სათაურები გვხვდება, მაგალითად, „გავაძლიეროთ ბრძოლა...“, „გავაუმჯობესოთ მუშაობა...“, „გადაჭრით გავაუმჯობესოთ სწავლება...“, „გავაუმჯობესოთ ხელმძღვანელობა...“ და ა. შ.

ეს ნაკლოვანებანი გაზეთ „ტყვარჩელის მაღაროელის“ მუშაობაში იმის შედეგიც არის, რომ მას ნაკლებ ხელმძღვანელობასა და დახმარებას უწევს პარტიის ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტი.



**გუმათჰესი.** გუმათის მეორე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე სახელი გაითქვა მებეტონეთა იმ ბრიგადამ, რომელსაც გ. რუხიაშვილი ხელმძღვანელობს. **სურათზე:** ბრიგადირი გ. რუხიაშვილი უჩვენებს მოწინავე მებეტონეებს შ. არდიაშვილს (ცენტრში) და ვ. ლევინს (მარცხნიდან მესამე) ახალ სამუშაო უბანს.

ფოტო პ. ლუცენკოსი.

## გუმათჰესის მშენებლობაზე

გუმათის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლები პირნათლად ასრულებენ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს.

პირველი სამშენებლო უბანი წარმატებით აშენებს პირველ ელსადგურსა და კაშხალს. ამ დღეებში აქ აამუშავეს 170-მეტრიანი სატრანსპორტო ესტაკადა, ძირითადად დაამთავრეს კაშხალის ქვაბულის გამზადება. სწრაფი ტემპით წარმოებს კაშხალის მარჯვენა ნაწილზე ბეტონის ჩასხმა.

დიდი ამოცანები აკისრიათ მეორე უბნის მშენებლებს, რომლებიც უკვე შეუდგნენ საგენერატორო შენობის წყალქვეშა ნაწილის დაბეტონებას. გამართული მუშაობისათვის შექმნილია ყველა პირობა: მზად არის ინერტული მასალის ქარხანა, ბეტონის მიმწოდებელი ტრანსპორტიორი, 5-ტონიანი ამწე. მეორე უბნის კოლექტივი განაგრძობს მუშაობას სადერივაციო არხზე, რომელიც ერთმანეთთან შეაერთებს პირველ და მეორე ელსადგურებს.

მოწინავე მშენებლები დ. კუნჭულია, ე. მინიბაევი, ა. ალმაზოვი და სხვ. ახლა დავალებებს ორმაგად ასრულებენ.

## წინსვლის პირველი ნაბიჯი

თბილისის მეშვიდე სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივმა, რომელიც წინათ ჩამორჩენილთა შორის იყო, საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრების პერიოდში თავი გამოიჩინა.

განვლილ პერიოდში მუშაობის შედეგების შეჯამებამ ცხადყო, რომ ფაბრიკის კოლექტივმა პირველი მაისისათვის შეძლო 4 თვის გეგმის შესრულებაში გარღვევის დაფარვა, წარმატებით შეასრულა გეგმით გათვალისწინებული ხარისხობრივი და სასორტიმენტო მაჩვენებლები. მარტო აპრილში ფაბრიკამ გეგმის გადამეტებით გამოუშვა 1.600 ათასი მანეთის მზა პროდუქცია.

## როცა მეცხოველეობას ზერე[illegible] ხელმძღვანელობე[illegible]

ზოგიერთი კოლმეურნეობის მუშაობაში ვხვდებით სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მორიგეობით შესრულების მავნე პრაქტიკას: გაერთობიან ერთით და ივიწყებენ მეორეს. ასე იქცევა სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბისხევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა. აქ ნაკლებად ფიქრობენ მეცხოველეობის განვითარებაზე. კოლმეურნეობის გამგეობის მთელი ყურადღება გადატანილია მემინდვრეობაზე, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ წლობით ვერ სრულდება ხორბლის, სიმინდის, ქერის და სხვა კულტურების მოსავლიანობის გეგმები, ცუდად ზრუნავენ პირუტყვის მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად.

საკვების უქონლობის გამო იკლო პროდუქტიულობამ. ბოდბისხევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ წელს თვითეულ საფურაჟე ძროხაზე უნდა მიიღოს 700 ლიტრი რძე. სამეურნეო წლის შვიდი თვე გავიდა, ძროხების უმრავლესობა კი გაშრა. 1 აპრილამდე თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიღებულია მხოლოდ 190 ლიტრი რძე. როგორც ჩანს, აქ დაივიწყეს გასული წლის მწარე გაკვეთილი: შარშან თვითეულმა საფურაჟე ძროხამ 835 ლიტრის ნაცვლად 368 ლიტრი რძე მოიწველა.

სიღნაღის რაიონში მეცხოველეობის ჩამორჩენაზე ბევრჯერ დაწერილა როგორც რესპუბლიკურ, ისე რაიონულ გაზეთებში. მაგრამ მხილებულ ნაკლოვანებებს დუმილით ხვდებოდნენ რაიონის ხელმძღვანელები. მათ ზოგიერთი კოლმეურნეობის თავმჯდომარემაც მიბაძა. რაიონული გაზეთის სიგნალებს აბუჩად იგდებენ, უშედეგოდ ტოვებენ. უფრო მეტიც: შურისძიებით იმსჭვალებიან, იბრძვიან კორესპონდენტების წინააღმდეგ. ერთი ფაქტი. გასული წლის 15 აგვისტოს რაიონულმა გაზეთმა „კოლმეურნემ“ მკაცრად გააკრიტიკა სოფელ ბოდბისხევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის შ. ტუხაშვილის ბიუროკრატულ-კანცელარული მუშაობა, გამოვლინებული იყო მეცხოველეობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებები. კორესპონდენტი აკრიტიკებდა გამგეობას, რომელმაც შეუწყნარებლად გააჭიანურა ფერმის მშენებლობა და მისი დამონტაჟება, გამოამჟღავნა ფორმალური დამოკიდებულება სოციალისტური შეჯიბრებისადმი. შ. ტუხაშვილმა იწყინა სამართლიანი კრიტიკა, გაბოროტდა, განცხადება დაწერა რაიკომის მდივნის ამხ. ზ. ბიძინაშვილის სახელზე — ცილს მწამებენ, ავტორიტეტს მილახავენ „ინტრიგანებიო“, და მას რაიკომმაც მხარი დაუჭირა. „უსამართლოდ“ გაკრიტიკებულმა შ. ტუხაშვილმა რაიონული კომიტეტის ბიუროს მხარდაჭერა რომ იგრძნო, გათამამდა, ხმა აიმაღლა, მუქარით მიმართავდა გაზეთის მუშაკებს.

— წერილის ავტორი დასაჯეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში კოლმეურნეობას დავტოვებ, — საჯაროდ განაცხადა მან. მიზანსაც მიაღწია. ბიურომ დაადგინა: „მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ნაკლოვანებების ერთი ნაწილი დადასტურდა, ზოგიერთი ფაქტები გაზვიადებულია, რაც გამოწვეულია რედაქციის მუშაკების ტენდენციური დამოკიდებულებით კოლმეურნეობის თავმჯდომარისადმი“. რედაქტორს ამხ. ა. ზურაშვილს მიეთითა.

ჩვენ კი ვიტყოდით, რომ რაიკომის ბიუროს ეს დადგენილება ტენდენციური ხასიათისაა და მას კრიტიკის ჩახშობის კვალი ატყვია. გაზეთის ეს სიგნალი დროული იყო, რაიონული კომიტეტი კი არ დაინტერესებულა წერილში მოყვანილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად გადამჭრელი ზომები მიეღო. რაიკომის ბიუროს მიერ ბევრი კოლმეურნეობის თავმჯდომარისათვის არაჯანსაღმა მხარდაჭერამ განსაკუთრებული დაღი დაასვა მეცხოველეობას. შარშან დაბეჭდილ კორესპონდენციაში აღნიშნული ნაკლოვანებები დღესაც გამოუსწორებელია.

ბოდბისხევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში გასულ წელს საკვების დამზადების გეგმა ვერ შეასრულეს. ჩამორჩნენ შვრიის, სიმინდის მოსავლიანობის გეგმების შესრულებაში, სამარცხვინო მაჩვენებლები აქვთ საკვები ჭარხლის თესვისა და მისი მოყვანის საქმეში. გეგმით გათვალისწინებული 3.200 ცენტნერის ნაცვლად 2.620 ცენტნერი ჭარხალი მიიღეს. კოლმეურნეობის გამგეობისა და პარტიული ორგანიზაციის მოუქნელი ხელმძღვანელობის შედეგად უხარისხოდ აშენდა სასილოსე ორმოები, დაუცველად ჩაყარეს ორმოში და მთლიანად დალპა, საკვებად უვარგისი გახდა 2.324 ცენტნერი ჭარხალი, 484 ცენტნერი საკვები საზამთრო, 400 ცენტნერზე მეტი სილოსი.

ჭარხალმა ლპობა ჯერ კიდევ მარტში დაიწყო. ეს კარგად იცოდნენ კოლმეურნეობაში, მაგრამ თავი არ შეიწუხეს. ისიც კი არ გაითვალისწინეს, რომ ძროხებისათვის პირველად საკვებად საზამთრო მიეცათ, რადგან იგი დიდხანს არ ინახება. ძნელია იმის დადგენა, იცავდნენ თუ არა კვების რაციონს, რადგან მეძროხეობის ფერმაში (ფერმის გამგე გ. ტუხაშვილი) ამის არამცთუ დოკუმენტი, უბრალო ჩანაწერებიც კი არა აქვთ. მაგრამ ის კი ფაქტია, რომ შემოწმების დროს აშკარად არღვევდნენ კვების რაციონს. პირუტყვი მოკლებულია ზოოტექნიკურ და ვეტერინარულ მომსახურებას, მაშინ როცა კოლმეურნეობის თავმჯდომარე შ. ტუხაშვილი ზოოტექნიკოსია.

ჯიშიანი პირუტყვის ფერმაში ველის წითელი ჯიშის 18 ძროხა ჩამოიყვანეს. მათ არ შეუქმნეს ნორმალური პირობები, პირუტყვი დაავადდა, რის შედეგად ორი ძროხა მოკვდა. საეჭვოა, რომ მესამე ჯიშიანი ძროხა, რომლის შესახებ შ. ტუხაშვილი და ვეტექიმი გ. ჯალიაშვილი გაიძახიან თითქოს კუჭში ლურსმნებისა და მინის ნამსხვრევები აღმოაჩნდაო, — მოუვლელობით არ იყოს მკვდარი. ბრიგადირი ნ. ხელაშვილი შეეცადა მიეჩქმალა ჯიშიანი ძროხების დახოცვის ნამდვილი მიზეზები და იგი იმავე პოზიციას დაადგა, რასაც კოლმეურნეობის თავმჯდომარე და ვეტექიმი.

ვეტექიმი გ. ჯალიაშვილი იშვითად დადის მეძროხეობის ფერმაში, რომელიც სოფელს ორი-სამი კილომეტრით არის დაცილებული. მას არა აქვს ავადმყოფი პირუტყვის ყოველდღიური მკურნალობის აღრიცხვა. ავადმყოფი პირუტყვისადმი არ იჩენენ მზრუნველობას და შეიძლება დაავადებული 4 ჯიშიანი ძროხაც დაიხოცოს.

პირუტყვის არაწესიერმა მოვლამ, საკვების უქონლობამ და რაციონის დარღვევამ საგრძნობლად დასცა წველადობა. მაგალითად, კოლმეურნეობის 140 ძროხიდან 1955 წლის პირველ აპრილამდე საშუალოდ თვითეულმა 122 ლიტრი რძე მოიწველა. ველის წითელი ჯიშის ძროხამ „ნათელამ“ 1 აპრილს 17,2 კილოგრამი მოიწველა, 5 აპრილს 15 კილოგრამზე ჩამოვიდა, 10 აპრილს — 2,9 კილოგრამი მოიწველა, ხოლო 15 აპრილს — 9,6 კილოგრამი. ძროხამ „მაყვალამ“ 1 აპრილს თუ 11,5 კილოგრამი მოიწველა, 5 აპრილს 2,6 კილოგრამამდე შემცირდა მისი წველადობა. განსაკუთრებით ცოტას იწველის ჯიშიანი ძროხა „ზინა“ — დღეში 5 კილოგრამს. ჯიშიანი ძროხების წველადობის ასეთი მერყეობა ეჭვს ბადებს რძის მითვისებაზე. კოლმეურნეობის გამგეობა არ აწესებს კონტროლს ფერმის მუშაკებზე, იმითაც კი არ დაინტერესებულა, რომ გამოერკვია მიღებული რძის რენტაბელობა. კოლმეურნეობას თვითეული ლიტრი რძე 10-ჯერ ძვირი უჯდება გასაყიდ ფასთან შედარებით. განსაკუთრებით დიდი თანხაა დახარჯული მეცხოველეობაზე. შარშან და წელს 2.198.000 მანეთი დააბანდეს. მეძროხეობის ტიპურ ბინას არა აქვს წყლის საკმარისი მარაგი. კოლმეურნეობის გამგეობის გადაწყვეტილებით დაიწყეს არტეზიული ჭის ამოთხრა, რომელიც 113.000 მანეთი ჯდება, მაშინ როცა იქ წყლის დიდი მარაგია და მისი ფერმაში გაყვანა უფრო იაფად დაუჯდებოდათ.

აღმაშფოთებელი მდგომარეობაა სოფელ ვაქირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაშიც. მეცხოველეობა აქ ყველაზე ჩამორჩენილ დარგს წარმოადგენს. გასულ წელს ვერ შეასრულეს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის და პროდუქტიულობის გეგმა, სამარცხვინოდ ჩამორჩნენ წელსაც. შარშან თვითეულ საფურაჟე ძროხაზე 830 ლიტრის ნაცვლად 217 ლიტრი რძე მიიღეს. წელს პირველი აპრილისათვის მიღებულია 52,2 ლიტრი რძე. ეს მაჩვენებლები აშკარად მეტყველებს პირუტყვის მოვლა-პატრონობის გაუარესებაზე. კოლმეურნეობას კი 9 ზოოვეტსპეციალისტი ემსახურება. მარტო მათ გასულ წელს 3.239 შრომადღე დაერიცხათ, წელს უკვე დაეწერათ 435 შრომადღე.

მეცხოველეობის სპეციალისტების უსაქმურობას, უუნარო ხელმძღვანელობას ის ფაქტი ადასტურებს, რომ შარშან საკვებმოპოვების ბრიგადა, რომელსაც პარტბიუროს მდივანი ი. დავითაშვილი ხელმძღვანელობს, დაუდევრად მოეპყრო მინდობილ საქმეს, უხარისხოდ ჩადო სილოსი, რის გამო სილოსის დიდი ნაწილი დალპა.

გასულ წელს კოლმეურნეობამ ვერ შეასრულა საკვების დამზადების გეგმა. მიუხედავად ამისა, კოლმეურნეობის მესვეურნი გაჰყვიროდნენ, გეგმის გადამეტებით ჩავდეთ სილოსიო. ბუხჰალტერიაში ამოძრავდა კალმები, დაიწერა ციფრები, გაჰკრეს-გამოჰკრეს საანგარიშოს და საკვებმოპოვების ბრიგადას 23.000 მანეთი პრემია არგუნეს. საკვების დამზადებაზე მარტო ეს თანხა როდი დაიხარჯა. გარდა პრემიისა, ამ ბრიგადას 7.242 შრომადღე დაეწერა, ხოლო ბრიგადის დასახმარებლად დაქირავებული მუშახელი 22.952 მანეთი დაუჯდათ. პირუტყვის საკვების დამზადებისათვის მტს-მა 2.468 ლიტრი რძე მიიღო, ხოლო მექანიზატორებს 1.335 შრომადღე დაერიცხათ. მოსალოდნელი იყო, რომ ასეთი დიდი ხარჯების გაწევის შემდეგ პირუტყვს საკმაოდ ექნებოდა საკვები, მოიმატებდა წველადობა, მაგრამ იმედი არ გამართლდა.

შარშან 9.600 ცენტნერი სილოსი ჩადეს. გეგმა რომ შეესრულებინათ, ზერელედ, უხარისხოდ ჩაყარეს გამხმარი ბალახი, რომელიც ათი კილომეტრის დაშორებით იკუწებოდა და ურმებით გადაჰქონდათ. სასილოსე ორმოს ზევიდან უბრალოდ გადააყარეს ნამჯა და მიწა. ყოველივე ამან ის გამოიწვია, რომ 4.000 ცენტნერი სილოსი მთლიანად დალპა, საკვებად უვარგისი გახდა. ახლა ალაზნის გაღმა 10-15 კილომეტრ მანძილზე არსებული სასილოსე ორმოდან ურმებით გადმოაქვთ სილოსი, რომელიც გზაზე იფიტება და საკვებად უვარგისი ხდება. უსაკვებოდ დარჩენილი პირუტყვი ჯერ კიდევ ადრე გაზაფხულზე გაუშვეს მინდვრად.

ამჟამად კოლმეურნეობის პირუტყვი გამხდარი, დაჯანდაგებულია. კოლმეურნეობის თავმჯდომარე რ. ნანობაშვილი და პარტბიუროს მდივანი ი. დავითაშვილი სხვა საქმეებით არიან „გადატვირთულნი“. ზემოაღნიშნულიდან ცხადია, რომ სიღნაღის რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში ცუდად იბრძვიან პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

უკანასკნელ ხანს პარტიის სიღნაღის რაიკომში თათბირებს ხშირად იწვევდნენ. აქ ბევრს ლაპარაკობდნენ პირუტყვის მოვლა-პატრონობის გაუმჯობესებასა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებაზე. მაგრამ სინამდვილე საწინააღმდეგოს ლაღადებს, საქმეს ძვრა არ ეტყობა. პარტიის რაიონული კომიტეტის მუშაკები მოწყვეტილი არიან საკოლმეურნეო ცხოვრებას, განსაკუთრებით მეცხოველეობას და კონკრეტულ დახმარებას არ უწევენ მას.

ვ. ხიჩუაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

## გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

რედაქციაში შემოვიდა წერილი, რომელშიც მხილებული იყო ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ხოდაშენის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ფერმის გამგის ხარატიშვილის დანაშაულებრივი მოქმედება. წერილი ზომების მისაღებად გადაეგზავნა პარტიის ახმეტის რაიკომს.

როგორც ახმეტის რაიკომის მდივანი ამხ. ზ. უზუნაშვილი გვატყობინებს, წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. ხარატიშვილი მოხსნილია ფერმის გამგის თანამდებობიდან, კოლმეურნეობას აუნაზღაურდა მიყენებული ზარალი.

მეცხოველეობის ძირითადი პროდუქტების წარმოება. ყოველივე ეს უზრუნველყოფს ჩვენი ხალხის ცხოვრების დონის შემდგომ ამაღლებას.

მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში, სოციალისტურ საწყისებზე ახალი ცხოვრების მშენებლობაში დიდ წარმატებებს მიაღწიეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ და სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნებმა. ამ სახელმწიფოებში განუწყვეტლივ იზრდება მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ხალხის კულტურა და კეთილდღეობა.

საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, რომელიც ემყარება სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემების თანაარსებობის ლენინურ პრინციპებს, მხურვალედ უჭერენ მხარს ყველა ქვეყნის ხალხები. სსრ კავშირი მთელ პროგრესულ კაცობრიობას მიაჩნია მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობის მედროშედ. დიდად გაიზარდა ჩვენი სამშობლოს საერთაშორისო ავტორიტეტი, მისი უდიდესი გავლენა საერთაშორისო მოვლენათა მსვლელობაზე.

საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების სამშვიდობო პოლიტიკისაგან განსხვავებით აგრესიული იმპერიალისტური ბლოკი, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები მეთაურობენ, ახორციელებს სამხედრო ავანტიურებისა და ახალი ომის გაჩაღების პოლიტიკას. ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ცდილობს თავის ურთიერთობას სოციალისტური ბანაკის ქვეყნებთან საფუძვლად დაუდოს „ძალის პოზიციის“ პოლიტიკა, გამალებული შეიარაღების, ატომური და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის გამოყენების მუქარის პოლიტიკა.

ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტები და მათი მოკავშირეები ახორციელებენ დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციისა და აგრესიულ ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკში მისი შეყვანის გეზს, რომელიც მიმართულია საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ.

პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციას, რომელიც მოხდა ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული წრეების ზეგავლენით, დასავლეთ ევროპის ხალხთა ნების წინააღმდეგ, არსებითი ცვლილებები შეაქვს საერთაშორისო ვითარებაში. ამ შეთანხმებათა მიზანია გერმანიის იმპერიალიზმის აღორძინება, ყველა სახეობის ახალი იარაღით აღჭურვილი რევანშისტული არმიის შექმნა დასავლეთ გერმანიაში.

მიუხედავად ნაკისრი ვალდებულებებისა, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები დათანხმდნენ დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციაზე და მის შეყვანაზე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ სამხედრო დაჯგუფებებში. ამან საბჭოთა მთავრობა აიძულა დაესვა საკითხი ინგლის-საბჭოთა კავშირის 1942 წლის ხელშეკრულებისა და საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის 1944 წლის ხელშეკრულების გაუქმების შესახებ.

საბჭოთა კავშირი იყო და რჩება ყველაზე თანმიმდევრული მომხრე გერმანიის მშვიდობიანი გაერთიანებისა დემოკრატიულ და მშვიდობისმოყვარულ საფუძვლებზე, გერმანელი ხალხის ეროვნულ მისწრაფებათა დაკმაყოფილების მომხრე. საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულმა პოლიტიკამ გერმანიის მიმართ გამოხატულება ჰპოვა, კერძოდ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებაში „საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის ომის მდგომარეობის შეწყვეტის შესახებ“.

გერმანიის პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრა ერთიანი დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე გერმანიის შექმნის საფუძველზე ერთადერთი გზაა იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ ხანგრძლივი მშვიდობა ევროპაში.

ა. წ. აპრილში მოსკოვში საბჭოთა კავშირის მთავრობასა და ავსტრიის მთავრობის დელეგაციას შორის გამართულმა მოლაპარაკებამ და მოლაპარაკების მსვლელობაში მიღწეულმა შეთანხმებებმა საქმით ცხადყვეს, რა წარმატებების მიღწევა შეიძლება მომწიფებული საერთაშორისო საკითხების მოწესრიგებაში მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის, თუ ორივე მხარე გამოიჩენს კეთილ ნებას.

ითვალისწინებენ რა ახალ პირობებს, რომლებიც დასავლეთ ევროპაში შეიქმნა პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციასთან დაკავშირებით, საბჭოთა კავშირი და სახალხო დემოკრატიის ქვეყნები იღებენ ღონისძიებებს თავიანთი უშიშროების უზრუნველყოფისა და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის.

ამ ბოლო დროს, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა იმპერიალისტური ქვეყნების აგრესიული პოლიტიკის შედეგად, მნიშვნელოვნად გამწვავდა ვითარება ახლო და შუა აღმოსავლეთში. ამერიკელი იმპერიალისტები და მათი ხელშემწყობნი ცდილობენ გაართულონ და გაამწვავონ ვითარება შორეულ აღმოსავლეთშიც. ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედება ტაივანის რაიონში, მიმართული ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ, საფრთხეს უქმნის მშვიდობას შორეული აღმოსავლეთის რაიონსა და მთელ მსოფლიოში.

მაგრამ ამ აგრესიულ პოლიტიკას მძლავრ წინააღმდეგობას უწევენ მშვიდობისმოყვარე ხალხები. ხალხები სულ უფრო რწმუნდებიან, რომ მხოლოდ თავისუფლება და დამოუკიდებლობა, მშვიდობა და ურთიერთთანამშრომლობა უზრუნველყოფს პირობებს მათი პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული განვითარებისათვის. ამას ნათლად მოწმობს აზიისა და აფრიკის 29 ქვეყნის კონფერენცია, რომელიც ა. წ. აპრილში გაიმართა ბანდუნგში.

გამოდის რა ყველა მშვიდობისმოყვარე ქვეყნის სათავეში, საბჭოთა კავშირი იბრძვის ხალხთა მშვიდობისათვის საერთაშორისო ვალდებულებათა დაცვის საფუძველზე, იმ საერთაშორისო პრინციპების საფუძველზე, რომლებიც აღნიშნულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1955 წლის 9 თებერვლის დეკლარაციაში, სახელდობრ: თანასწორობის, საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, თავდაუსხმელობისა და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფაზე უარის თქმის, სუვერენიტეტისა და ეროვნული დამოუკიდებლობის პატივისცემის საფუძველზე.

საბჭოთა კავშირს არაერთხელ შეუტანია წინადადება შეიარაღების შემცირებისა და ატომური და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის აკრძალვის შესახებ. ამ წინადადებებს ფართოდ უჭერენ მხარს ყველა ქვეყნის მშვიდობისმოყვარე ხალხები.

ამჟამად მშვიდობისა და ეროვნული უშიშროების დაცვის საფუძველზე ერთიანდებიან სხვადასხვა სოციალური ჯგუფის, სხვადასხვა პოლიტიკური და რელიგიური შეხედულების ადამიანები. მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის უმნიშვნელოვანესი შედეგი ახლა ის არის, რომ მილიონობით ადამიანი თავის ხელში იღებს მშვიდობის დაცვის საქმეს.

* * *

იმპერიალიზმის ბანაკის რეაქციული ძალები დიდი ხანია ამზადებენ სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ ომის გაჩაღების გეგმებს. ასეთ პირობებში კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა, იბრძვიან რა მშვიდობისა და საერთაშორისო ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის, ამავე დროს განუხრელად ზრუნავენ ჩვენი სამშობლოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებისათვის, რათა უზრუნველყონ საბჭოთა ხალხისა და მისი შეიარაღებული ძალების მზადყოფნა ყოველგვარი შემთხვევითობისათვის.

ომისშემდგომ პერიოდში მძიმე მრეწველობის განუხრელი ზრდის საფუძველზე, პარტიისა და მთავრობის მზრუნველობის მეოხებით, საბჭოთა შეიარაღებული ძალები აღჭურვილი არიან უახლესი ტექნიკით, რომელიც სავსებით შეესაბამება თანამედროვე პირობებს. საბჭოთა კავშირს აქვს ატომური და წყალბადის იარაღი და ახალი შეიარაღების სხვა საშუალებანი.

ეუფლებიან რა ახალ ტექნიკას და სრულყოფენ თავიანთ საბრძოლო გაწვრთნას და ომის ახალ პირობებში საბრძოლო მოქმედების წარმოების უნარს, საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა დიდი ნაბიჯი გადადგეს წინ დიდი სამამულო ომის პერიოდთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაადიდეს თავიანთი ძლიერება და საბრძოლო მზადყოფნა. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია დავკმაყოფილდეთ მიღწეულით. ჩვენი შეიარაღებული ძალების მთავარი ამოცანა კვლავ ის არის, რომ განუწყვეტლივ აამაღლონ ყველა გვარეობის ჯარის საბრძოლო მზადყოფნა. „ჩვენ არ შეგვიძლია მივიჩნიოთ, — ამბობდა ამხანაგი ნ. ა. ბულგანინი, — რომ იმპერიალისტები უდიდეს მატერიალურ და მილიარდობით ფულადს სახსრებს ხარჯავენ შეიარაღებაზე მხოლოდ იმისათვის, რომ დაგვაშინონ.

ჩვენ არ შეგვიძლია აგრეთვე ვიქონიოთ იმპერიალისტთა ჰუმანურობის იმედი, რომლებიც არ ერიდებიან, როგორც ცხოვრებამ დაგვანახვა, მასობრივი მოსპობის ყოველგვარი საშუალების გამოყენებას.

ჩვენ მუდამ მზად უნდა ვიყოთ იმისათვის, რომ გამანადგურებელი წინააღმდეგობა გავუწიოთ ყოველ მტერს, რა იარაღიც უნდა ჰქონდეს მას“.

ჯარების საბრძოლო მზადყოფნის გადიდების ამოცანა მოითხოვს განუწყვეტლივ ვაუმჯობესოთ პირადი შემადგენლობის მომზადება, გავადიდოთ თანამედროვე პირობებში ახალი ტექნიკის ხმარების ოსტატობა, ყოველდღიურად განვამტკიცოთ მხედრული დისციპლინა, წესრიგი და ორგანიზებულობა ჯარებში. კომუნისტური პარტიის გარშემო მჭიდროდ დარაზმული საბჭოთა მეომრები პირნათლად შეასრულებენ ამოცანებს, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ დაგვისახეს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ინტერესებისა და ჩვენი ხალხის მშვიდობიანი, შემოქმედებითი შრომის დაცვის საქმეში.

შეგვიძლია ეჭვი არ ვიქონიოთ, რომ, თუ იმპერიალისტი აგრესორები, ატომური და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის იმედით, კვლავ მოისურვებენ გამოსცადონ საბჭოთა კავშირის ძალა და ძლიერება, ისინი იმავე იარაღით იქნებიან დამარცხებული და დათრგუნვილი.

საბჭოთა ხალხი, საბჭოთა შეიარაღებული ძალები ყველაფერს აკეთებენ, რაც საჭიროა იმისათვის, რომ, თუ იმპერიალისტებმა გააჩაღეს მესამე მსოფლიო ომი, მას მოჰყვეს მთელი კაპიტალისტური სისტემის კრახი.

ეყრდნობა რა მშრომელთა ფართო მასებს და სარგებლობს მათი მხურვალე მხარდაჭერით, კომუნისტურ პარტიას მტკიცე რწმენით მიჰყავს საბჭოთა ხალხი კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

არტილერიის მარშალი
ს. ვარენცოვი.

## უნგრეთის მინისტრთა საბჭოს წერილი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი

ბუდაპეშტი, 4 მაისი. (საქდესი). დღეს პრესაში გამოქვეყნდა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის წერილი საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი. წერილში, რომელსაც ხელს აწერს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ანდრაშ ჰეგედიუში, ნათქვამია:

უნგრელი ხალხი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა გულწრფელი მადლობითა და უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებას — გაუწიოს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას სხვა ქვეყნებთან ერთად დახმარება მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების კვლევის განვითარების საქმეში და გადასცეს მას თავისი მდიდარი მოწინავე გამოცდილება ამ დარგში.

უნგრელ ხალხს თავისი ათი წლის თავისუფალი ცხოვრების მანძილზე არაერთხელ და სულ სხვადასხვა სახით მიუღია უანგარო დახმარება საბჭოთა კავშირისაგან. ამ ძმურმა დახმარებამ შეაძლებინა მას შეენარჩუნებინა თავისუფლება და დამოუკიდებლობა, მიეღწია პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული აღმავლობისათვის. საბჭოთა კავშირის ახალი მეგობრული მხარდაჭერა ხელს შეუწყობს ჩვენი ხალხისა და მშვიდობის მთელი ბანაკის ძალების განმტკიცებას და მნიშვნელოვანწილად დაეხმარება მეცნიერული კვლევის განვითარებას, საწარმოო ძალების ზრდას, სოციალიზმის მშენებლობას ჩვენს ქვეყანაში.

საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება კვლავ ადასტურებს იმას, რომ საბჭოთა კავშირი ყოველი ღონისძიებით ესწრაფვის ხალხთა მშვიდობიან თანაარსებობას წინააღმდეგ იმპერიალისტური წრეებისა, რომელნიც ისწრაფვიან ნგრევის სამსახურში ჩააყენონ ატომის ენერგია. ეს დიდსულოვანი დახმარება ხელს უწყობს იმას, რომ ჩვენი ქვეყანა უახლოეს მომავალში შეძლებს გამოიყენოს კოლოსალური ენერგია, რასაც ატომი შეიცავს, სახალხო მეურნეობის სწრაფი განვითარებისათვის, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო უნგრელი ხალხის მადლობას უძღვნის საბჭოთა კავშირის ხალხებსა და მთავრობას ახალი განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი დახმარებისათვის, რომელიც აძლიერებს უნგრელი ხალხის მტკიცე სურვილს კიდევ უფრო გადაჭრით იბრძოლოს მშვიდობის ბანაკის რიგებში, რომელსაც საბჭოთა კავშირი მიუძღვის, იბრძოლოს მშვიდობის უზრუნველყოფისათვის და ხალხთა მშვიდობიანი თანაარსებობისათვის.

## ელბაზე შეხვედრის ამერიკელ ვეტერანთა მოსკოვში გამომგზავრებისათვის

ვაშინგტონი, 4 მაისი. (საქდესი). გუშინ სსრ კავშირის საელჩომ ამერიკის შეერთებულ შტატებში „ელბაზე ამერიკელ ვეტერანთა შეხვედრის" ორგანიზაციის 10 წევრს მისცა საბჭოთა კავშირში შესასვლელი ვიზები. ისინი მიწვეული არიან მოსკოვს, რათა მონაწილეობა მიიღონ კრებაში, რომელიც გაიმართება ელბაზე ამერიკელი და საბჭოთა მეომრების შეხვედრის მეათე წლისთავის გამო.

ამერიკელ ვეტერანთა ჯგუფი მიიღო სსრ კავშირის ელჩმა გ. ნ. ზარუბინმა. ამერიკელმა ვეტერანებმა მადლობა გადაუხადეს ელჩს ვიზების მალე მიცემისათვის და იმედი გამოთქვეს, რომ მოსკოვში მათი გამგზავრება ხელს შეუწყობს ამერიკელი და საბჭოთა ხალხების დაახლოებას. გ. ნ. ზარუბინმა უსურვა ამერიკელ ვეტერანებს მშვიდობით მგზავრობა და წარმატება ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის ხალხთა მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების საქმეში.

## კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის ერთობლივი კომუნიკე

ფხენიანი, 5 მაისი. (საქდესი). როგორც კორეის ცენტრალური დეპეშათა სააგენტო იუწყება, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობებმა გამოაქვეყნეს ერთობლივი კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია, რომ კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ალბანეთს შორის მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განმტკიცების მიზნით ამ ქვეყნების მთავრობებმა გადაწყვიტეს დიპლომატიური მისიები ფხენიანსა და ტირანაში გარდაქმნან საელჩოებად და გაცვალონ ელჩები.

## საბჭოთა პროფკავშირული დელეგაცია ინგლისში

ლონდონი, 4 მაისი. (საქდესი). გუშინ ბლეკპულში მანქანათმშენებელთა გაერთიანებული პროფკავშირის კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა ინგლისში მყოფი საბჭოთა პროფკავშირული დელეგაციის ხელმძღვანელმა მანქანათმშენებლობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ბელოვმა.

როგორც გაზეთები იუწყებიან, ბელოვის სიტყვას და განსაკუთრებით მის განცხადებას იმის შესახებ, რომ მეგობრული ურთიერთობა ინგლისელ და საბჭოთა მანქანათმშენებლებს შორის ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის ურთიერთობის განმტკიცებას და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, მოწონებით შეხვდნენ კონფერენციის მონაწილენი.

მანქანათმშენებელთა გაერთიანებული პროფკავშირის თავმჯდომარემ ოპენშოუმ დელეგატთა ტაშის გრიალში იმედი გამოთქვა, რომ საბჭოთა პროფკავშირული დელეგაციის ჩამოსვლა განამტკიცებს ინგლისელი და საბჭოთა ხალხების მეგობრობას.

## ამერიკის საიდუმლო პოლიციის ახალი მარცხი

ნიუ-იორკი, 4 მაისი. (საქდესი). 2 მაისს ეგრეთწოდებული „ძირგამომთხრელი საქმიანობისადმი კონტროლის სამმართველოს" (პოლიციის ორგანო, რომელიც შექმნილია პროგრესული ორგანიზაციების დევნისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებში. — რედ) სხდომაზე ნიუ-იორკის ფოლი-სკვერის სასამართლოს შენობაში, როცა ირჩეოდა „სამოქალაქო უფლებებისათვის ბრძოლის კონგრესის" ორგანიზაციის „საქმე", სისტემატურ ცრუმოწმეობაში გამოტყდა გამოძიებათა ფედერალური ბიუროს კიდევ ერთი დაქირავებული ინფორმატორი ვინმე დევიდ ბრაუნი.

1950-დან 1954 წლამდე ბრაუნი, როგორც გამოძიებათა ფედერალური ბიუროს აგენტი, შეიპარა კალიფორნიის შტატის „სამოქალაქო უფლებებისათვის ბრძოლის კონგრესში", აგრეთვე ლოს-ანჯელოსის „როზენბერგების სამართლიანი გასამართლებისათვის ბრძოლის კომიტეტში".

როგორც ცნობილია, პროგრესულ ამერიკელებს ცოლქმარ ეტელ და ჯულიუს როზენბერგებს ტყუილად დასდეს ბრალი „ჯაშუშობაში" და სიკვდილით დასაჯეს 1953 წლის 19 ივნისს.

როზენბერგებისათვის გამოტანილმა სასტიკმა განაჩენმა ფართო საპროტესტო კამპანია გამოიწვია მთელ მსოფლიოში.

ბრაუნი თვეში 250 დოლარს იღებდა იმისათვის, რომ გამოძიებათა ფედერალურ ბიუროს აცნობებდა იმ პირთა ათასობით სახელსა და მისამართს, რომლებმაც რწმენა გამოთქვეს, რომ როზენბერგები უდანაშაულონი იყვნენ.

როგორც საიდუმლო პოლიციის აგენტი, ბრაუნი მონაწილეობდა ვაშინგტონში როზენბერგების დასაცავ ბევრ დემონსტრაციაში, აგრეთვე დაესწრო მათს დაკრძალვას და გამოძიებათა ფედერალურ ბიუროს ჩააბარა ანგარიში დაკრძალვის მონაწილეთა შესახებ.

2 მაისს ბრაუნმა აჩვენა, რომ იმ სიებში, რომლებსაც იგი გამოძიებათა ფედერალური ბიუროსათვის ადგენდა, მას შეჰქონდა ბევრი ისეთი პირის გვარი, რომლებიც არც უნახავს, ასეთ მასობრივ კრებებზე.

ბრაუნმა განაცხადა, ცრუმოწმეობას იმიტომ ვეწეოდი, რომ გამოძიებათა ფედერალური ბიურო ამაში ფულს მაძლევდაო.

გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი", იუწყება რა ბრაუნის აღიარებას, შენიშნავს, რომ „მონანიებული ინფორმატორები კვლავ უსიამოვნებას აყენებენ ამერიკის მთავრობას".

## პატეტ-ლაოს პრემიერ-მინისტრის განცხადება

ხანოი, 3 მაისი. (საქდესი). როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო გადმოგვცემს, პატეტ-ლაოს პრემიერ-მინისტრმა პრინცმა სუფანუვონგმა დეკლარაცია გამოაქვეყნა იმ ერთობლივი განცხადების მხარდასაჭერად, რომელიც 24 აპრილს ბანდუნგში გამოაქვეყნეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ მინისტრის მოადგილემ ფამ ვან დონგმა და ლაოსის სამეფო მთავრობის პრემიერ-მინისტრმა კატაიმ.

დეკლარაციაში ნათქვამია, რომ პატეტ-ლაოს მებრძოლი რაზმები სავსებით ეთანხმებიან იმას, რომ პოლიტიკური პრობლემები, რომლებიც ეხება ლაოსის სამეფო მთავრობას და პატეტ-ლაოს შეიარაღებულ ძალებს ჟენევის შეთანხმების სწორი და უაღრესად ზუსტი განხორციელების საქმეში, ლაოსის საშინაო საკითხებია და უნდა გადაიჭრას უშუალოდ ორ მხარეს შორის.

ამ აზრის შესაბამისად პატეტ-ლაოს შეიარაღებული ძალებისა და ლაოსის სამეფო მთავრობის დელეგაციებმა მოიწვიეს პოლიტიკური საკონსულტაციო კონფერენცია გადაწყვეტილებათა მისაღებად, რომლებიც ხელს შეუწყობენ მშვიდობის განმტკიცებას, ხალხის დემოკრატიულ თავისუფლებათა განხორციელებას, ამ ქვეყნის გაერთიანებასა და ეროვნული დამოუკიდებლობის მიღწევას. მაგრამ მთელ რიგ სიძნელეთა და დაბრკოლებათა გამო, რასაც სამეფო მთავრობის მხარე ქმნის, პოლიტიკური საკონსულტაციო კონფერენცია 100 დღეში მოწვეულ იქნა მარტო 18-ჯერ და 28 აპრილს შეწყდა მეხუთედ.

პატეტ-ლაოს შეიარაღებულ ძალებს მიაჩნიათ, რომ სამშობლოს და ლაოსის ხალხის მშვიდობისა და უმაღლესი ინტერესებისათვის პოლიტიკური საკონსულტაციო კონფერენცია კვლავ უნდა გაიხსნას, რათა განაგრძოს მოლაპარაკება გულწრფელობის, მეგობრობისა და ურთიერთპატივისცემის საფუძველზე. თუ ორივე მხარემ გულწრფელად გამოიჩინა კეთილმოსურნეობა და დათანხმდა ურთიერთდათმობებზე, პოლიტიკური საკონსულტაციო კონფერენცია, უეჭველია, კარგ შედეგებს მიაღწევს.

## სირიის პრემიერ-მინისტრის განცხადება მთავრობის საწინააღმდეგო შეთქმულების შესახებ

ლონდონი, 4 მაისი. (საქდესი). რეიტერის სააგენტო დამასკოდან იუწყება:

როგორც სირიის პრემიერ-მინისტრმა საბრი ასალიმ 3 მაისს პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, აღმოჩენილი და კონფისკებულია დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტები, რომლებიც ახალ შუქს ფენენ სირიის არმიის გენერალური შტაბის უფროსის მოადგილის პოლკოვნიკ ადნან მალიქის მოკვლას.

გასამართლებულ იქნება სირიის ეროვნულ-სოციალური პარტიის რამდენიმე წევრი, რომლებსაც ბრალდებათ, რომ განზრახული ჰქონდათ მოეხდინათ სახელმწიფო გადატრიალება. დაპატიმრებულია სულ 100-მდე კაცი. მთავრობას სურს, განაცხადა მან შემდეგ, დააჩქაროს გასამართლება და სისრულეში მოიყვანოს განაჩენი, რათა ხელი შეუშალოს ამგვარი დანაშაულის შესაძლო გამეორებას.

პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ პოლკოვნიკ მალიქის მოკვლამ სირიაში ყველგან გამოიწვია აღშფოთება, აგრეთვე უკმაყოფილება არმიის ოფიცრებს შორის, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ეს დანაშაული დაკავშირებულია შეთქმულებასთან, რომლის მიზანი იყო ის, რომ ზოგიერთ სამოქალაქო პირსა და არმიის ოფიცერს ხელში ჩაეგდო ძალაუფლება.

## კომუნისტების დევნა ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 5 მაისი. (საქდესი). როგორც პრესა იუწყება, ამერიკის ხელისუფლებმა მიაღწიეს იმას, რომ ამერიკის შეერთებული შტატებიდან გადაასახლეს ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ჯონ ვილიამსონი. ამას წინათ იგი გაათავისუფლეს საპყრობილიდან, სადაც პატიმრობას იხდიდა სმიტის კანონის საფუძველზე. 4 მაისს, გადასახლების წინადღით, ვილიამსონმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა:

„მე ამერიკის შეერთებული შტატებიდან მასახლებენ იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც საპყრობილეში ჩამსვეს და მდევნიდნენ ამ უკანასკნელ წლებში, ჩემი მოღვაწეობის გამო მუშათა კლასის ინტერესებისათვის და ჩემი იდეების გამო. ეს იდეები უბრალოა: მე მიმაჩნია, რომ ამერიკელთა ინტერესები მოითხოვენ თანაარსებობას და არა ომს; მე მიმაჩნია, რომ მაკარტისტული რეაქცია ემუქრება ყველა ამერიკელის თავისუფლებას და რომ ამერიკელთა უმრავლესობა უნდა გაერთიანდეს, რათა აღადგინოს „უფლებათა ბილი" (კონსტიტუცია. — რედ.) ყველას ინტერესებისათვის; მე ვემხრობი სოციალიზმს... მე მივდივარ მტკიცედ დარწმუნებული, რომ ამერიკელი ხალხი აღადგენს რევოლუციურ ბრძოლაში მოპოვებულ დემოკრატიულ ტრადიციებს და შეუფარდებს მათ XX საუკუნის პირობებს, განდევნის თავის წრიდან ომის გამჩაღებლებს".

## საფრანგეთ-საარის ეკონომიური კონვენციის ხელმოწერის გამო

პარიზი, 4 მაისი. (საქდესი). როგორც პრესა იუწყება, გუშინ საღამოს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ანტუან პინემ და საარის პრემიერ-მინისტრმა იოჰანეს ჰოფმანმა პარიზში ხელი მოაწერეს საფრანგეთ-საარის ეკონომიურ კონვენციას.

ამ დოკუმენტის ხელმოწერის წინ პინემ განაცხადა, რომ „კონვენცია აკმაყოფილებს" როგორც საფრანგეთს, ისე საარს, და რომ იგი „ადასტურებს ორი ქვეყნის ეკონომიურ კავშირს".

მაგრამ, როგორც დღეს გაზეთი „მონდი" აღნიშნავს, პინეს ასეთ აზრს სრულიადაც არ იზიარებენ არც თვით საფრანგეთში, არც საარში.

„ამიტომ გასაკვირველი არ არის, — წერს „მონდი", — რომ ფრანგებსა და საარელებს შორის გუშინ თავი იჩინა ერთგვარმა დაძაბულობამ და რომ კონვენციის ხელმოწერის ცერემონია რამდენადმე დაყოვნდა".

საფრანგეთში, განაგრძობს გაზეთი, „აწუხებთ უწინარეს ყოვლისა საფრანგეთ-საარის ეკონომიური კავშირის ბედი. ამ კავშირმა რომ მიაღწიოს თავის მიზანს... საჭიროა უწინარეს ყოვლისა საარის ავტონომიის დაცვა გარედან ჩარევისაგან (ნაგულისხმევია დასავლეთ გერმანიის ჩარევა. — რედ.). საეჭვოა, რომ ამ მხრივ შეიქმნას და შენარჩუნებულ იქნას საჭირო გარანტიები".

## ამერიკის შეერთებული შტატები „დახმარებას" უწევენ სამხრეთ ვიეტნამს

პარიზი, 4 მაისი. (საქდესი). ფრანს პრესის სააგენტო, იმოწმებს რა ავტორიტეტული წრეებიდან მიღებულ ცნობებს, იუწყება, რომ საფრანგეთ-ამერიკის მოლაპარაკება შეერთებული შტატების მიერ სამხრეთ ვიეტნამისათვის სამხედრო დახმარების გაწევის შესახებ დამთავრდა შეთანხმების მიღწევით. ამ დახმარების ოდენობა 1955 წლისათვის განსაზღვრულია 100 მილიონი დოლარით.



სურათზე: ვაკის პარკის მებაღე ს. ბერუაშვილი აფორმებს ტუიას.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

## კულტურისა და დასვენების პარკებში

თბილისის კულტურისა და დასვენების პარკებში 1 მაისს გაიხსნა საგაზაფხულო სეზონი.

ყოველწლიურად ლამაზდება და მშვენიერდება სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი (ფუნიკულიორის პლატოზე). რემონტი გაუკეთდა პარკის ცენტრალურ პავილიონს, კინოთეატრს, ატრაქციონებს, შეკეთდა შიდაგზები, გაფართოვდა სარწყავი აუზები, დაირგო მრავალი ათასი ძირი დეკორაციული ხე და ბუჩქი.

სეზონისათვის საუკეთესოდ მოემზადა ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი. პარკის ხეივნებსა და გაზონებში დაირგო 4.200 ძირი სხვადასხვა დეკორაციული მცენარე და ბუჩქი. პარკის შესასვლელში გაკეთდა ხელოვნური კლდე.

განსაკუთრებულ სილამაზეს უქმნის პარკს გაზონებსა და ყვავილნარებში მოწყობილი ხელოვნური წვიმის შადრევნები, რომლებიც ზაფხულის ცხელ დღეებში გააგრილებს ჰაერს.

მნიშვნელოვნად გაფართოვდა საზაფხულო საკონცერტო ესტრადა, სადაც დაიდგა ახალი სკამები 1.500 მაყურებლისათვის. გაფართოვდა საზაფხულო კინოთეატრიც, რომელიც ახლა 2.000 კაცს დაიტევს.

დიდი სამუშაოები წარმოებს ვაკის პარკში, რომელიც თბილისელებისათვის უკვე გადაიქცა საუკეთესო დასასვენებელ ადგილად. მწვანე ნარგავებით შეივსო პარკის ხეივნები, გაზონები. განსაკუთრებით ბევრი დაირგო წელს მარადმწვანე მცენარეები და ხეხილი.

საგაზაფხულო სეზონი გაიხსნა აგრეთვე თბილისის სხვა პარკებში.

## ახალი წიგნები

გამომცემლობა „ტექნიკა და შრომამ" გამოსცა შემდეგი წიგნები:

**გ. ახვლედიანი, ი. ბეთანელი** და სხვები — „სამშენებლო სამუშაოთა წარმოება", ნაწილი I. 1955 წელი, ტირაჟი 1.000, გვ. 376, ფასი 9 მან. 90 კაპ.

**გ. ბაკლანოვი** — „სამრეწველო სტატისტიკა". 1955 წელი, ტირაჟი 2.000, გვ. 436, ფასი 8 მან. 25 კაპ.

**ვ. პოპოვი** — „ელექტროტექნიკა", 1955 წელი, ტირაჟი 1.000, გვ. 484, ფასი 8 მან. 90 კაპ.

**ი. პუტილოვა** — „სახელმძღვანელო პრაქტიკული მეცადინეობისათვის კოლოიდურ ქიმიაში". 1955 წელი, ტირაჟი 1.000, გვ. 318, ფასი 8 მან. 15 კაპ.

**ვ. იმედაძე** — „დიდი რუსი მეცნიერი ვ. დოკუჩაევი და მისი მოწაფეები საქართველოში" (რუსულ ენაზე). 1955 წელი, ტირაჟი 2.000, გვ. 70, ფასი 1 მან. 10 კაპ.

**გ. ქვლივიძე** — „მექანიკურძრავიანი აფიამოდელი და მისი აგება". 1955 წელი. ტირაჟი 1.000, გვ. 118, ფასი 2 მან. 5 კაპ.

**ა. იგლიცკი** და **ბ. სომოროვი** — „როგორ ბეჭდავენ წიგნებს". 1955 წელი ტირაჟი 2.000, გვ. 70, ფასი 1 მან. 10 კაპ.

## თბილისს ჩამოვიდა ჩინეთის პროფკავშირული დელეგაცია

თბილისს ჩამოვიდა ჩინეთის პროფკავშირული დელეგაცია სრულიად ჩინეთის პროფკავშირთა ფედერაციის აღმასკომის წევრის — შანხაის პროფკავშირთა საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის ჯუნ მინის მეთაურობით. დელეგაცია საბჭოთა კავშირში სტუმრად იმყოფება საკავშირო პროფსაბჭოს მოწვევით.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან ჩინეთის პროფკავშირთა ხელმძღვანელი მუშაკები და შრომის გმირები. დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო 1 მაისის დღესასწაულში მოსკოვში. საქართველოში იგი გაეცნობა პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილებას, ეწვევა სამრეწველო საწარმოებსა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს.

სტუმრებს აეროდრომზე შეხვდნენ საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მდივანი ი. ხეთაგური, საქართველოს სსრ დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ლ. მაღლაფერიძე, საქართველოს კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე დ. მოსულიშვილი, საქართველოს ფართო მოხმარების საქონლის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ე. ლავთაძე და სხვები. (საქდესი).

## ბრაზილიის კულტურის მოღვაწენი თბილისში

5 მაისს თბილისს ჩამოვიდა ბრაზილიის კულტურის მოღვაწეთა დელეგაცია, რომელიც სსრ კავშირში იმყოფება უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების მოწვევით. დელეგაციას მეთაურობს ფრანსისკო პეიშოტო.

აეროდრომზე სტუმრებს შეხვდნენ უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე მ. კვესელავა, საქართველოს სსრ განათლების მინისტრი გ. ჯიბლაძე, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილე ვ. ჭიაურელი, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების პასუხისმგებელი თანამშრომლები, ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. (საქდესი).

## საბჭოთა მოჭადრაკეები საერთაშორისო შეჯიბრებაზე გაემგზავრნენ

4 მაისს მოსკოვიდან ლიონში (საფრანგეთი) გაემგზავრნენ საბჭოთა მოჭადრაკეები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ სტუდენტ მოჭადრაკეთა გუნდურ შეჯიბრებაში მსოფლიო პირველობაზე.

გუნდში შედიან: გროსმაისტერი მარკ ტაიმანოვი, საერთაშორისო ოსტატი ბორის სპასკი, ოსტატები ვლადიმერ ანტოშინი და ალექსი სუეტინი. გუნდის სათადარიგო წევრები არიან ოსტატები ევგენი ვასიუკოვი და ალექსანდრე ნიკიტინი. საბჭოთა მოჭადრაკეების გუნდს მეთაურობს გროსმაისტერი ალექსანდრე კოტოვი.

სტუდენტ მოჭადრაკეთა გუნდური შეჯიბრება მსოფლიო პირველობაზე იწარმოებს 6-15 მაისს. შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ 16 ქვეყნის მოჭადრაკეები. (საქდესი).

## ბეჭდვითი სიტყვის დღისადმი მიძღვნილი სესია

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა ბეჭდვითი სიტყვის დღისადმი მიძღვნილი სესია, რომელიც მოაწყეს ჟურნალისტიკის კათედრამ და ჟურნალისტიკის განყოფილების სტუდენტთა სამეცნიერო წრემ.

მოხსენება „ბეჭდვითი სიტყვის დღე — 5 მაისი" წაიკითხა უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების IV კურსის სტუდენტმა ვ. ჯავახაძემ. მოხსენებით „ვ. ი. ლენინი საბჭოთა პრესის ხასიათისა და ამოცანების შესახებ" გამოვიდა ჟურნალისტიკის კათედრის დოცენტი ტ. კვანჭილაშვილი.

რედაქტორი ნ. ჯაში.


**დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის სამეცნიერო-საკვლევი რესპუბლიკური ინსტიტუტი** აცხადებს კონკურსს დედათა და ბავშვთა მეთოდ-ორგანიზაციული სექტორის ხელმძღვანელის (მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი) თანამდებობაზე (მეან-გინეკოლოგი ან პედიატრი).

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა დირექტორის სახელზე უნდა შემოიტანოს განცხადება შემდეგი საბუთების დართვით (ორ ცალად): 1. კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, 2. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის ასლი, 3. სამეცნიერო წოდების და ხარისხის დიპლომის ასლი. 4. საქმიანი დახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან. 5. მეცნიერულ შრომათა სია და ორი ფოტოსურათი.

განცხადება და საბუთები მიიღება დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის კანცელარიაში (ლენინის ქ. № 38).

განცხადების შემოტანის ვადა ორი კვირა დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

მოქალაქე მარიამ სიმონის ასულმა კოპაძემ, მცხოვრებმა წითელი პარტიზანის ქ. № 19, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ ბორის ვლადიმერის-ძე კოლომეიცევთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მე-3 უბნის სახალხო სასამართლო.

**სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**
**აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობათა დასაკავებლად:**

1. მათემატიკური ანალიზის კათედრა — კათედრის გამგე, პროფესორი — 1, პროფესორი — 2, დოცენტი — 2.
2. რადიოფიზიკის კათედრა — კათედრის გამგე, პროფესორი ან დოცენტი — 1, ასისტენტი — 2.
3. არაორგანული ქიმიის კათედრა — კათედრის გამგე, პროფესორი — 1, დოცენტი — 2, ასისტენტი — 2,5 განაკვ.
4. გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის კათედრა — კათედრის გამგე, პროფესორი — 1, პროფესორი — 2, ასისტენტი — 3.
5. ხერხემლიანთა ზოოლოგიის კათედრა — კათედრის გამგე, პროფესორი ან დოცენტი — 1, დოცენტი — 1,5 განაკვ., უფროსი მასწავლებელი — 1, ასისტენტი — 1,5 განაკვ.
6. მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრა — კათედრის გამგე, პროფესორი ან დოცენტი — 1, დოცენტი — 9, მასწავლებელი (დოცენტის უფლებებში) — 5, ასისტენტი — 3.
7. დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის კათედრა — კათედრის გამგე, პროფესორი ან დოცენტი — 1, დოცენტი — 2, უფროსი მასწავლებელი — 5, ასისტენტი — 5.
8. სსრკ ხალხთა ისტორიის კათედრა — კათედრის გამგე, პროფესორი — 1, პროფესორი — 2, დოცენტი — 3,5 განაკვ.
9. ახალი ქართული ენის კათედრა — კათედრის გამგე, პროფესორი — 1, დოცენტი — 4, ასისტენტი — 2.
10. გერმანული ენის კათედრა — კათედრის გამგე, დოცენტი — 1, უფროსი მასწავლებელი — 12, მასწავლებელი — 5.
11. სემიტოლოგიის კათედრა — კათედრის გამგე, პროფესორი — 1, დოცენტი — 1, ასისტენტი — 0,5 განაკვ.
12. საბუღალტრო აღრიცხვის კათედრა — კათედრის გამგე, პროფესორი ან დოცენტი — 1, დოცენტი — 3.
13. სახელმწიფოსა და სამართლის თეორიისა და ისტორიის კათედრა — კათედრის გამგე, პროფესორი — 1, პროფესორი — 1, დოცენტი — 1.
14. ფიზიკის ფაკულტეტის მათემატიკის კათედრა — დოცენტი — 1.
15. ანალიზური ქიმიის კათედრა — დოცენტი — 1.
16. უხერხემლოთა ზოოლოგიის კათედრა — კათედრის გამგე, პროფესორი ან დოცენტი — 1.
17. ჰისტოლოგიისა და ანატომიის კათედრა — კათედრის გამგე, პროფესორი ან დოცენტი — 1.
18. საქართველოს ისტორიის კათედრა — პროფესორი — 0,5 განაკვ.
19. კლასიკური ფილოლოგიის კათედრა — დოცენტი — 1.
20. რუსული ენის № 2 კათედრა — დოცენტი — 2.
21. რუსული ლიტერატურის ისტორიის კათედრა — დოცენტი — 1.
22. ინგლისური ენის კათედრა — დოცენტი — 2.
23. ფრანგული ენის კათედრა — დოცენტი — 1.
24. სპარსული ფილოლოგიის კათედრა — დოცენტი — 0,5 განაკვ.
25. სახელმწიფო სამართლის კათედრა — დოცენტი — 1.

იმ პირებმა, რომლებსაც სურთ მონაწილეობა მიიღონ კონკურსში, ამის შესახებ განცხადება უნდა შემოიტანონ უნივერსიტეტის რექტორის სახელზე და ამავე დროს წერილობით აცნობონ იმ დაწესებულების ხელმძღვანელს, სადაც მუშაობენ.

განცხადებას უნდა დაერთოს: კადრების აღრიცხვის პირადი ბარათი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი განათლების დიპლომის სათანადოდ შემოწმებული ასლი, სამეცნიერო წოდებასა და ხარისხში დამტკიცების საბუთების სათანადოდ შემოწმებული ასლები, საქმიანი და პოლიტიკური დახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან, სამეცნიერო შრომების სია და რეცენზიები მათ შესახებ.

კონკურსის ვადა 1 თვე ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან. უნივერსიტეტის მისამართი. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. № 1.

**ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტი** აცხადებს ორდინატურაში მიღებას 1955-56 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე: თერაპიაში — 2, დერმატო-ვენეროლოგიაში — 1, ქირურგიაში — 2, ტუბერკულოზში — 1, თვალის სნეულებათა — 1, პედიატრიაში — 1, ფიზიოთერაპიაში — 1, ეპიდემიოლოგიაში — 1, ზოგად ჰიგიენაში — 1, ყელ-ყურ-ცხვირის სნეულებაში — 1, ბაქტერიოლოგიაში — 1, რენტგენოლოგიაში — 1, ინფექციურში — 1.

ორდინატურაში მიიღებიან უმაღლესი განათლების მქონე პირები არაუმეტეს 30 წლის ასაკისა, რომლებსაც აქვთ არანაკლებ 3 წლის საექიმო სტაჟი.

ორდინატურაში ჩარიცხვის მსურველმა განცხადება უნდა შემოიტანოს დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების დართვით (ორ ცალად): კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის ასლი, საქმიანი და პარტიული დახასიათებები მუშაობის ადგილიდან, ცნობა სტაჟის შესახებ, ცნობა სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ, მეტრიკული ამონაწერი და ორი ფოტოსურათი.

განცხადებები მიიღება 25 ივნისამდე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

საბუთები მიიღება ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექციაში (ლუნაჩარსკის ქ. № 12, ტელეფონი 3-49-22).

ცეკავშირის თანამშრომლები იუწყებიან **თამარ ალექსანდრეს ასულ ფალავანდიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 8-V სოფელ სარეკში (საჩხერის რაიონი).

მეუღლე ოლღა, შვილები ზინა, შოთა ოჯახებით იუწყებიან **კლიმენტი ნიკოლოზის-ძე ჩოჩიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 7-V, 8 ს. გამოსვენება 8-V, 5 ს. კალინინის ქ. № 104.

დები ლიდა, ვალენტინა ოჯახებით და ნათესავებით იუწყებიან **ოლღა ყარამანის ასულ ჩაჩიბაია-ფიფიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 7-V, 8 ს. გამოსვენება 8-V, 3 ს. მახარაძის ქ. № 6.

მეუღლე ვალერიან, შვილი ქეთია ოჯახით იუწყებიან **ვერა ფარნას ასულ ლომთაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 7-V, 8 ს. გამოსვენება 8-V, 4 ს. ვერცხლის ქ. № 33.

შვილები სარა, ანიკო სამსონიები ოჯახებით იუწყებიან **სოფიო სილოვანის ასულ გურგენაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 6-V, 8 ს. გამოსვენება 7-V, 5 ს. ობოლაძის ქ. № 7.

მეუღლე თეოლინე, შვილები ლაისო, ალექსანდრე, იაკიმე, გრიშა, არქიპო ოჯახებით იუწყებიან **სოლომონ იოსების-ძე კარტოზიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 10-V სოფელ ნაქალაქევში (ცხაკაიის რაიონი).



რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტბიუროს — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-51-81, გამოშვების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

უე 03902

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.